# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 9 თებერვალი, 2013 წელი.

№25 (7152)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# დრო აღარ ითმენს!

**ნუთუ ვინმესთვის ცხადი და ნათელი არ არის, რომ ავად გაბოროტებული ნაციონალები თავიანთ ხსნას მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო დაპირისპირებაში ხედავენ!**

**გუშინდელმა** დღემ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, ანტიეროვნული ნაციონალური მოძრაობის ცხრაწლიანი ძალადობისა და უსამართლობისგან შელონებული ხალხის საყოველთაო მღელვარების დღემ, აშკარა გახადა, რომ ქართველი ხალხი, საქართველოს მოსახლეობა აღარავისგან აღარ მოითმენს მონური მორჩილების უღლის დადგმას და, იმ შემთხვევაში, თუ ახალმა, გამარჯვებულმა ხელისუფლებამ წერტილი არ დაუსვა ნაციონალთაგან ბოროტი პარპაშისა და ძალაუფლების კვლავ ხელში ჩაგდების მცდელობას, უკვე საბოლოოდ გამოფხიზლებული და მონური მორჩილების უღელგადაგდებული ხალხი თვითონ, საკუთარი ძალებით ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტს საკუთარ ბედს.

**ცეცხლთან მოთამაშე ნაციონალებთან მეოცნებეთა დემოკრატიულ-ლიბერალური „არშიყობის“ დრო დამთავრდა!** ქვეყანა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებისგან სასწრაფოდ გადამჭრელი ზომების მიღებას ელოდება. ქვეყანას პრეზიდენტი აღარა ჰყავს! ეს დღეს ყველამ უნდა გაიგოს! განაჩენგამოტანილი ნაციონალები ისტორიის სამსჯავროს წინაშე დაუყოვნებლივ უნდა წარდგნენ!



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# დრო აღარ ითმენს!







ნაცების პროვოცირებული გუშინდელი სამოქალაქო დაპირისპირების კადრები

## დედაეკლესია

# ილია მეორე: ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველო სამშვიდობოს გავიდეს

**მე ბევრი მიფიქრია იმის შესახებ, რა ნაკლი მაქვს. სამწუხაროდ, მე არ მაქვს დამთავრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, — ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების ტაძარში ქადაგებისას ბრძანა.**

პატრიარქმა ვრცლად ისაუბრა წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ღვაწლზე. უწმინდესმა ბრძანა, რომ დავით აღმაშენებელი განსაკუთრებული მფარველია საქართველოსი, ღვთის განგებით მას დაედგა გვირგვინი და ჩაიბარა დარღვეული ქვეყანა. პატრიარქმა ბრძანა, რომ დავით აღმაშენებელი იყო ის პიროვნება, რომელმაც მოიწვია რუის-ურბნისის კრება და მოხდა ერისა და ეკლესიის სულიერი განწმენდა.

პატრიარქმა ისაუბრა წმინდა მეფის სულიერებაზე, წიგნიერებაზე და ბრძანა, რომ მან დააარსა გელათის აკადემია და ყოველი უმაღლესი სასწავლებელი მისი მსგავსი უნდა ყოფილიყო.

უწმინდესმა ასევე ისაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე და აღნიშნა, რომ შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში პირველი უნივერსიტეტი წმინდა დავით მეფის ხსენების დღეს დაარსდა. მან ეს დღე მიულოცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს და იქ მომუშავე ყველა ადამიანს.

პატრიარქმა ბრძანა, რომ 8 თებერვალს ასევე დაარსდა პატრიარქის ფონდი, რომელიც ეხმარება გაჭირვებულებს. ამ ფონდის სახსრებით ბეჭდავენ წიგნებს და ბევრი კარგი რამ კეთდება.

უწმინდესმა მოუწოდა მრევლს, მიაქციონ ამ ფონდს ყურადღება, რადგან მისთვის გაღებული თანხა ხალხის დახმარება იქნება.

ასევე, პატრიარქმა აღნიშნა, რომ დღეს სასულიერო აკადემიაში, თეოლოგიაში სადისერტაციო საბჭო დაარსდა, რომელიც მაძიებლებს დოქტორის ხარისხს მიანიჭებს.

ქადაგების ბოლოს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ხელისუფლებას, პრემიერ-მინისტრს, მინისტრებსა და მთელ ქართველ ხალხს აღმაშენებლის დღე მიულოცა, შესთხოვა უფალს „წმინდა დავით მეფის ლოცვით ღმერთმა გააერთიანოს საქართველო“.

„ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველო გავიდეს სამშვიდობოს“, — ბრძანა ქადაგების ბოლოს უწმინდესმა.

ქადაგების დასრულების შემდეგ ტაძარში ჯვრებით, ხატებით ლიტანიობა დაიწყო. ლიტანიას წინ თავად უწმინდესი მიუძღვებოდა. მასში ასევე მონაწილეობდნენ ტაძარში მყოფი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი და მთავრობის სხვა წევრები. ასევე, ტაძარში იმყოფებოდნენ ჯარისკაცები.



## მიტინგი ქუთაისში, პარლამენტის წინ

# ნაპრეზიდენტალის ნაცვლად — ჩუჩელა

**ზუსტად 4 საათით ადრე, ვიდრე საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ნაპრეზიდენტალი ყველაზე უშინაარსო, მაგრამ სკანდალური „წიგნის“ — საკუთარი ანგარიშის დეკლამაციის დაწყებას აპირებდა, ქუთაისში პარლამენტის შენობის წინ მომიტინგეებმა საქართველოს 1 მილიონ 200 ათასი მოქალაქის სახელით მწვანეთა პარტიის ლიდერს, პარლამენტის დეპუტატს, ბატონ გიორგი გაჩეჩილაძეს კოლეგებისათვის გადასაცემად განმეორებით გაატანეს პროექტი „საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა მიხეილ სააკაშვილისათვის 2013 წლის 20 იანვარს საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შესახებ“.**

განმეორებითო, შემთხვევით არ გვითქვამს.

იგივე დოკუმენტი პარლამენტში ჯერ კიდევ 2012 წლის 19 დეკემბერს შევიდა, მაგრამ არ განხილულა, თუმცა, მასში არც თუ უსაფუძვლოდ არის ხაზგასმული, რომ მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში „საპრეზიდენტო უფლებამოსილების საკონსტიტუციო ვადის მემორანდუმზე 1.200.000-ზე მეტი ამომრჩეველი მ. სააკაშვილის ქმედებებზე ვიხსნით პასუხისმგებლობას და მოვლენების შემდგომ განვითარებაზე პასუხისმგებლობას ვაკისრებთ როგორც საქართველოს პარლამენტს, ისე იმ პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკოსებს, რომლებიც მხარს უჭერენ მ. სააკაშვილის პრეზიდენტობას 2013 წლის ოქტომბრამდე“.

მიტინგი, რომელიც პარლამენტში შესვლის შემთხვევაში ნაპრეზიდენტალს სირცხვილის დერეფანს უმზადებდა, გასაგები მიზეზების გამო ამჯერად მრავალრიცხოვნობით არ გამოირჩეოდა, თუმცა, სირცხვილის დერეფანი მაინც მოეწყო და იგი მ. სააკაშვილის ნაცვლად მისმა ჩუჩელამ გაიარა. ამის შემდეგ საავიაციო ჯარების რეზერვისტი ოფიცრის, ბატონ დავით ნემსაძის მეთაურობით ვეტერანმა და ახალგაზრდა ჯარისკაცებმა სიმბოლურად აჰყარეს ღირსება ქვეყნის შემარცხვენელ მთავარსარდალს, რომელმაც საქართველოსთვის თავსმოხვეულ 5-დღიან ომში ახალგორის რაიონი და დალის ხეობა დაგვაკარგვინა.



მიტინგზე „მიშისტები“ თითქმის არ გამოჩენილან. მისი ჩაშლა მხოლოდ ერთმა მოინდომა — ქუთაისელებისთვის სკანდალურობით ცნობილმა პროვაკატორმა ქალბატონმა, რომელიც ცდილობდა, ბატონ რეზო ჩხეიძისათვის ცილი დაეწამებინა, თითქოს მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. საბედნიეროდ, მან ამაში ვერავინ დაარწმუნა და მიტინგიდან გაიძურწა.

**ალექსანდრე შენგელია,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ქუთაისი, 8 თებერვალი.**

# საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებთან, როგორც ჩვენი საერთო ინტერესების მქონე, ისე პრობლემურ საკითხებზე ურთიერთპატივისცემისა და დიალოგის რეჟიმში მუშაობის პრინციპს, — ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაშია ნათქვამი.**

**განცხადების თანახმად, სწორედ ამიტომაც საქართველოს საპატრიარქო 2010 წელს გამოვიდა ინიციატივით, შექმნილიყო ინტერრელიგიური სამუშაო ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ თემებს განიხილავდა.**

**„მისასალმებელია, რომ ეს ინიციატივა გაზიარებულ იქნა რელიგიური გაერთიანებების მიერ. ჯგუფი, რომელსაც კოორდინაციას არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი „21-ე საუკუნე“ უწევს, უკვე ორ წელიწადზე მეტია ფუნქციონირებს და საქართველოში მოღვაწე ძირითად რელიგიურ სპექტრს აერთიანებს. სხდომებში ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.**

**ეს წარმოადგენს სრულფასოვანი ინტერრელიგიური დიალოგის პირველ პრეცედენტს საქართველოში და მიგვაჩნია, რომ ამ საქმიანობის გაგრძელება და შემდგომი გაღრმავება დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის შემდგომ განვითარებას“, — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.**

# ჰამელტონის აზრით, სასამართლოების შესახებ კანონპროექტი მისაღებია

**საქართველოში ვიზიტით მყოფი ვენეციის კომისიის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლის ჯეიმს ჰამელტონის შეფასებით, საერთო სასამართლოების შესახებ კანონპროექტში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი დემოკრატიული საზოგადოების ნორმებს შეესაბამება, თუმცა, მასში პრობლემატური საკითხიც რჩება.**

ამ კონტექსტში პრესკონფერენციაზე ჰამელტონმა პროექტით გათვალისწინებულ იმ ნორმას გაუსვა ხაზი, რომლის თანახმადაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებულ შემადგენლობას კანონის ამოქმედებისთანავე უფლებამოსილება შეუწყდება.

— პირადად ჩემი აზრია, რომ ამგვარი წესის შემოღება შესაძლოა. ამ საკითხთან მიმართებაში სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. მაგრამ, წარმოდგენილი ცვლილებები ერთიანად უნდა იყოს განხილული. არ შემიძლია, არ აღვნიშნო პოზიტიური ასპექტები. კერძოდ ის, რომ იუსტიციის საბჭოს შემადგენლობა, რომელსაც პარლამენტი აირჩევს, ახალი პროექტის მიხედვით უფრო დეპოლიტიზებულია. მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტს აღარ შეეძლება, დანიშნოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ორი წევრი. უფრო დემოკრატიული ხდება მოსამართლეთა კონფერენციის მიერ მოსამართლე წევრების დანიშვნა, კერძოდ ის, რომ კენჭისყრა არის ფარული და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს არ აქვს იმ კანდიდატების ექსკლუზიურად დასახელების უფლება. ეს ყველაფერი ერთიან კომპლექსში უნდა იყოს განხილული, — განაცხადა ჯეიმს ჰამელტონმა.

ამასთან, ვენეციის კომისიის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არის პირადი მოსაზრება, ზოგადად კი დელეგაცია თავს იკავებს წინასწარი რეკომენდაციების და შენიშვნების გამოთქმებისაგან, რადგანაც დასკვნასთან დაკავშირებით მუშაობა გაგრძელდება და მარტში, ჰამელტონის თქმით, საერთო სასამართლოებისა და ამნისტიის შესახებ კანონებთან დაკავშირებით ორი დასკვნა განსახილველად და დასამტკიცებლად ვენეციის კომისიას გადაეცემა.

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№25. შაბათი, 9 თებერვალი, 2013 წელი.

# უფლებააყრილი ხელისუფალი

*პრეზიდენტ სააკაშვილის პარლამენტში მოხსენებით გამოსვლა გადაიდო, რადგან უმრავლესობის პოზიციაა, რომ ეს მოხდეს მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მიღებული იქნება სათანადო გადაწყვეტილება, ან როდესაც ცალსახად და მკაფიოდ იქნება გამოხატული პრეზიდენტის და მისი პოლიტიკური გუნდის პოზიცია პარლამენტისთვის იმ უფლების დაბრუნების თაობაზე, რაც მას ეკუთვნის.*

*თუმცა, იქამდე, ვიდრე საკონსტიტუციო ცვლილებები პარლამენტს წარედგინებოდა, საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებდა, რომ ამ კონსტიტუციური ცვლილებების ინიცირებით ბიძინა ივანიშვილმა და საპარლამენტო უმრავლესობამ უკვე მოახდინეს პრევენცია იმისა, რომ სააკაშვილმა ამ კონსტიტუციური უფლებით ვეღარ ისარგებლოს.*

*„მთავარი არის არა ის, კონსტიტუციაში ესა თუ ის ნორმა წერია თუ არა, არამედ ამ ნორმას მისი აღსრულების სათანადო გარემო სჭირდება. მიხეილ სააკაშვილს გეგმები ჩაეშალა, როდესაც ჩვენ ამ კონკრეტული ინიციატივით, ერთი მხრივ, მსოფლიოს ვამცნეთ რა წერია კონსტიტუციაში, რა სახიფათო იარაღი უჭირავს მას ხელში და, მეორე მხრივ, რას ემსახურება მისი პიარ-კამპანია, რომ ქვეყანა დაიქცა, რომ ეს ემსახურებოდა იმას, რათა მთავრობის დათხოვნისთვის ნიადაგი მოემზადებინა. ჩვენ ეს გეგმა გავშიფრეთ. ასე რომ, ეს არის არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური პროცესი. ჩვენ ამ ცვლილებებით არ მივცემთ მას პოლიტიკურ საშუალებას, ეს ნორმა გამოიყენოს და სამართლებრივ საშუალებას ეს ცდუნება ჰქონდეს“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.*



*არის თუ არა პრევენცია ამ თემაზე საუბარი და განახორციელებს თუ არა სააკაშვილი სცენარს, რომლის მიხედვითაც მას შეუძლია პარლამენტის თანხმობის გარეშე შეკრიბოს ახალი მთავრობა და არჩევნებიც მას ჩაატარებინოს. საკმარისია თუ არა ამ თემის ტირაჟირება იმისათვის, რომ ქვეყანა ასეთი საფრთხისგან დაცული იყოს, თუ უმრავლესობის მხრიდან მეტი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ სიტუაციის გამწვავება თავიდან ავირიდოთ, ამ თემაზე ექსპერტი **არმაზ ახვლედიანი** გვესაუბრება.*

**— ბატონო არმაზ, არა მხოლოდ ქართულმა საზოგადოებამ, არამედ მსოფლიომაც გაიგო, რა „ნაღმია“ ჩადებული მოქმედ კონსტიტუციაში. როგორ ფიქრობთ, საკმარისია ამ თემაზე ხმამაღლა ლაპარაკი იმისათვის, რომ სააკაშვილმა ვერ გაბედოს საკუთარი, ასე ვთქვათ არადემოკრატიული, გადაჭარბებული ძალაუფლება გამოიყენოს?**

— სწორი იქნება, ყველა დეპუტატის მხრიდან, თუ ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს დაუჭერენ. სხვა შემთხვევაში, არა მხოლოდ ერთი რომელიმე პოლიტიკური ძალა, არამედ მთელი ქვეყანა, მთელი საზოგადოება ამ ქვეყნისა, დგება დიდი ხიფათის წინაშე.

პრობლემა ის არის, რომ საქართველო ამ კონსტიტუციური ცვლილების გარეშე შეიძლება აღმოჩნდეს ძალიან მძიმე პოლიტიკურ კრიზისში. ეს ნაღმი დევს დღევანდელ კონსტიტუციაში და კარგად იცით, რომ სწორედ ამის თავიდან აცილების მიზნით მომზადდა ეს ცვლილება.

რაც შეეხება გავრცელებულ აზრს, რომ ამ თემაზე საუბარი ამ ცვლილებების დამტკიცების გარეშეც შეიძლება პრევენციულ ზომად ჩავთვალოთ, მე ნაწილობრივ დავეთანხმები, რადგან ეს პრევენციად შეიძლება იმდენად ჩაითვალოს, რამდენადაც მთელი ქვეყანა მკაფიოდ გაიგებს ამ საფრთხის შესახებ, მაგრამ რეალურად საფრთხეს მაინც ვერ გამოვრიცხავ. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ეს საკონსტიტუციო ცვლილებები იყოს მიღებული.

**— რაც შეეხება პრევენციას, როდესაც ამბობენ, რომ ამით ჩვენ სააკაშვილს ნიღაბს ჩამოვხსნით და მთელ მსოფლიოს დავანახებთ, ვინ არის იგი, ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია გავიხსენოთ სააკაშვილის რიტორიკაც 2008 წლის აგვისტოში, როდესაც აცხადებდა, რომ რუსეთს ნიღაბი ჩამოგლიჯა და მისი სახე მთელ მსოფლიოს დაანახვა...**

— ამ პარალელს ვერ გავავლებ და იმ სიტუაციას დღევანდელს ვერ შევადარებ. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი პარტნიორები უცხოეთში, დაინტერესებული ორგანიზაციები თუ კონკრეტული ადამიანები, მხოლოდ ვენეციის კომისიას არ ვგულისხმობ, კარგად ხვდებიან, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს საქართველოს პრეზიდენტის ამგვარმა უფლებამოსილებამ და რა საფრთხის შემცველია იგი.

**— როდესაც საფრთხეებზე ვსაუბრობთ, რა სცენარი შეიძლება განვითარდეს? დავუშვათ მან მიიღო ეს გადაწყვეტილება და დაითხოვა მთავრობა, შემდეგ რა იქნება, სად არის საფრთხე?**

— დავიწყოთ იმით, რომ პრეზიდენტი ამ გადაწყვეტილებას უკანონოდ კი არ მიიღებს, არამედ კანონიერად. სხვაა, რომ ეს იქნება ძალიან სახიფათო პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ეს მოხდება კანონიერად.

მთავრობის დათხოვნა მოხდება იმ ფონზე, როდესაც სულ რამდენიმე თვეა გასული არჩევნებიდან, ახლად ჩამოყალიბებულია მთავრობა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა გამოუცხადა ნდობა. წარმოგიდგენიათ, ეს რას გამოიწვევს? საზოგადოება, ფაქტობრივად, აღმოჩნდება იმ მდგომარეობაში, როდესაც მას პრეზიდენტი წაართმევს სულ რამდენიმე თვის წინათ გაკეთებულ არჩევანს. ვფიქრობ, რომ ამან შეიძლება ძალიან მძიმე პროცესი გამოიწვიოს საზოგადოებაში.

**— ჩვენ ვამაყობთ, რომ უსისხლოდ და დემოკრატიულად ჩავატარეთ არჩევნები. როდესაც ევროსაბჭოში გამოვიდა სააკაშვილი, პირველი, რასაც ხაზი გაუსვა, იყო ის, რა დემოკრატიულად გადააბარა ხელისუფლება არჩევნებში გამარჯვებულ ძალას. როგორც ჩანს სააკაშვილი ნანობს ამ ნაბიჯს...**

— ხელისუფლება, რომელიც არჩევნებამდე იქცეოდა საერთოდ არადემოკრატიულად, იძულებული იყო, არჩევნების შედეგებს შეგუებოდა ორი მიზეზის გამო — დაინახა, რომ ეს იყო საზოგადოების დიდი უმრავლესობის ნება, ვერდიქტი და მეორე — დაინახა, დასავლეთი ამ თამაშში მონაწილეობას აღარ მიიღებდა და აღარ დახუჭავდა თვალს გაყალბებაზე.

**— ასეთ შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა, დღეს აჰყვეს დასავლეთი სააკაშვილს ამ თამაშში, თუ ეს აღარ აინტერესებს და შესაძლებელია, ვა-ბანკზე წავიდეს?**

— ვფიქრობ, ეს სცენარია ყველაზე სახიფათო. პრეზიდენტს თითზე ჩამოსათვლელი თვეები დარჩა ხელისუფლებაში, ცდილობს როგორმე შეინარჩუნოს ხელისუფლება და მზად არის, რომ არაფერზე დაიხიოს უკან.

**— არსებობს მოსაზრება, რომ თუკი სააკაშვილის პირად უსაფრთხოებას დაემუქრება რამე, მაშინ წავა ასეთი სცენარის განხორციელებაზე. უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ სააკაშვილი და მერაბიშვილი შესაძლოა, დაიკითხონ ჟვანიას გარდაცვალების თემასთან დაკავშირებით.**

— ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელია არა მხოლოდ ჟვანიას, არამედ სხვა თემებთან დაკავშირებითაც დაიკითხოს. მსოფლიოში არსებობს პრაქტიკა, როდესაც პრეზიდენტები

## „ეს ის პრეზიდენტია, რომელიც საკუთარი პოლიტიკური მომავლისთვის ნებისმიერ უხერხულ ნაბიჯს გადადგამს“

მიბრძანდებიან დაკითხვაზე, აძლევენ ჩვენებას გარკვეულ საქმეზე, ეს ჩვეულებრივი ამბავია. თუ ადამიანი მართალი ხარ, მაშინ რატომ უნდა დარდობდე? თუ ყველაფერი კარგად არის, რაა სადარდებელი?

პირად უსაფრთხოებას რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ არავინ არ უქმნის პრეზიდენტის პირად გარემოს რაიმე საფრთხეს, მთავარია, თავად არ შეუქმნას საკუთარ თავს ეს საფრთხე..

**— როდესაც თინა ხიდაშელი საკონსტიტუციო ცვლილებებზე ლაპარაკობდა, აღნიშნა, რომ ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რა შეიძლება მოჰყვეს ამ უფლების გამოყენებას პრეზიდენტის მხრიდან და, რომ ეს უარეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს სამოქალაქო დაპირისპირება. თქვენი შეფასებით, არსებობს სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე?**

— ვერ ვხედავ სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს, რადგან ვერ ვხედავ ასეთ გამოკვეთილ მხარეებს ამ სავარაუდო დაპირისპირებისათვის. აქ არის გამოკვეთილი ერთი მხარე, რომელმაც მხარი დაუჭირა ახალ ხელისუფლებას 1 ოქტომბერს. ვინც მხარი დაუჭირა „ნაციონალურ მოძრაობას“, ჩემი აზრით, ბევრი დღეს იმედგაცრუებულია და გაცილებით უკეთ დაინახა, რომ ეს არ იყო სწორი არჩევანი. დღეს რომ არჩევნები ჩატარდეს, გარწმუნებთ, რომ „ქართული ოცნება“, ივანიშვილის პოლიტიკური გაერთიანება, გაცილებით მეტ ხმას მიიღებს, ვიდრე პირველ ოქტომბერს.

**— წესით, სააკაშვილს არც უნდა აწყობდეს, საქმე ხელახალ არჩევნებამდე მივიდეს...**

— არ უნდა აწყობდეს პრაგმატულად, მაგრამ ამ პრაგმატულ გათვლებს სჭირდება გონიერება და საღი აზრი, მე კი ვატყობ, რომ ბოლო დროს საღი აზრი და გონიერება ნაკლებად არის ყოფილ ხელისუფლებაში.

**— როდესაც ვლაპარაკობთ გარკვეულ პრევენციაზე, არსებობს გარანტიები, რომ საფრთხეებზე ხმამაღლა ლაპარაკი აღმოჩნდეს შემაკავებელი, მით უმეტეს, სააკაშვილის ბუნებიდან გამომდინარე?**

— კვლავ გავიმეორებ, რომ ეს შეიძლება იყოს გარკვეულწოლად პრევენციული ზომა, მაგრამ არასაკმარისი, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ რეალური საფრთხე, რომლის წინაშეც შეიძლება დადგეს ქვეყანა უახლოეს ხანებში.

**— როდესაც ვენეციის კომისია ასე ღიად და პირდაპირ აკეთებს განცხადებას, რომ აუცილებლად მიაჩნია პრეზიდენტისთვის გაზრდილი უფლებამოსილების შეზღუდვა, ეს ნიშნავს თუ არა, რომ საქმე სერიოზულად ცუდად არის?**

— პრეზიდენტ სააკაშვილს ვენეციის კომისიის დასკვნა მხოლოდ მაშინ აწყობს და უხარია, როცა სათავისოა ეს დასკვნა. როდესაც მის აზრს, მის პოზიციას ეწინააღმდეგება, მაშინ არად დაგიდევთ არც ვენეციის კომისიას და არც ერთ სხვა, რომელიმე მაღალ საერთაშორისო აზრს.

რაც შეეხება საფრთხეებს, ვფიქრობ, სააკაშვილი ყველანაირად ეცდება, როგორმე შეინარჩუნოს ძალაუფლება, თუმცა, ამის არც თეორიული და არც პრაქტიკული შესაძლებლობა, არანაირი კანონიერი გზა აღარ გააჩნია. გამოდის, რომ ვიღაცამ უნდა მოიფიქროს მორიგი ავანტიურა.

**— რა შეიძლება იყოს ეს მორიგი ავანტიურა?**

— არ ვიცი, მაგრამ რა გამრუდებული აზრი არ დაიბადება იმათ თავში, ვისაც თავის დროზე არაერთი ასეთი ავანტიურა მოუფიქრებია და განუხორციელებია წლების განმავლობაში.

**— ვანო მერაბიშვილი და ნაციონალთა სხვა ლიდერები აცხადებენ, რომ თუ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს, ეს მოხდება აუცილებლად ზეწოლით. არსებობს თუ არა საფუძველი ვიფიქროთ, რომ უმცირესობის დეპუტატებზე მართლაც ხდება ზეწოლა, იმის გათვალისწინებით, რომ დეპუტატები ტოვებენ უმცირესობის რიგებს?**

— არ ვიცი, ვინ რა სახის ზეწოლას განიცდის, მაგრამ ამ შემთხვევაში ნებისმიერი პოლიტიკოსი უნდა განიცდიდეს მხოლოდ სინდისის ზეწოლას. ყველამ უნდა იგრძნოს, რა სახის პასუხისმგებლობაა ახლა ეს გადაწყვეტილება, რას ნიშნავს, ამაღლდე შენს ვიწრო პარტიულ თუ სხვა ინტერესებზე და გააკეთო არჩევანი ქვეყნის მომავლის სასარგებლოდ.

კარგად მახსოვს, როგორი ზეწოლა იყო ყოფილი ხელისუფლების მხრიდან სულ რამდენიმე თვის წინათ ოპონენტების მიმართ. დღეს ასეთი ფაქტების შესახებ არაფერი გამიგია და თუ სადმე ვინმემ იცის, რომ ასეთი ზეწოლა ხორციელდება, მაშინ რატომ დუმან და რატომ არ ამბობენ კონკრეტულად სად რა მოხდა? კარგად ვიცი, რომ დღევანდელ ოპოზიციას არ გაუჭირდება ეს ინფორმაცია, თუკი დასაბუთებული სახით არსებობს, მიიტანოს არა მხოლოდ დასავლელ პარტნიორებთან, არამედ ობიექტურ მსაჯულამდე განსასჯელად. როგორც ჩანს, არის მხოლოდ განცხადებები, არის მხოლოდ გამუქება ამ სიტუაციისა და სხვა არაფერი. თორემ თუ იქნება ასეთი ფაქტები, არა მხოლოდ ოპონენტებმა არამედ, ჩვენც, საზოგადოებამაც უნდა ავიმაღლოთ ხმა. მაგრამ ამის შესახებ არაფერი გამიგია და თუ ვინმე მეტყვის, მეც შევუერთებ ჩემს ხმას. ვიღაცას ავიწყდება, რომ ეს ის ხელისუფლებაა, რომელმაც საქართველოში შექმნა ზეწოლის და წარმოუდგენელი წნეხის მექანიზმი.

**— რაც შეეხება უმრავლესობას, რას ისურვებდით, რომ მოახერხოს, ამ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, ჩათვალოს პრევენციად თუ გააგრძელოს ოპონენტების დარწმუნება, რომ ეს მართლაც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებაა?**

— ვისურვებ, მშვიდად და წყნარად გააგრძელოს ქვეყნის მართვა. ეს კონკრეტული ცვლილება შევა თუ არა კონსტიტუციაში, ამის მიუხედავად, მტკიცე ნაბიჯებით გააგრძელონ იმ დაპირებების შესრულება, რაც მივიღეთ არჩევნებამდე და არავის დაგვავიწყდეს, რა იყო უმთავრესი დაპირება — სამართლიანობის აღდგენა ქვეყანაში, სამართლიანობის აღდგენას ემსახურება ეს საკონსტიტუციო ცვლილებებიც და სხვას არაფერს. უსამართლობაა, როდესაც პრეზიდენტს გააჩნია ასეთი ძალაუფლება და ეს ის პრეზიდენტია, რომელიც საკუთარი პოლიტიკური მომავლის გამო ნებისმიერ უხერხულ ნაბიჯს გადადგამს.

**ლალი ზირაქიშვილი**

### დავით აღმაშენებლის პრემიის ახალი ლაურეატები

## მინდა, საქართველოში ჩამოვიდე, როგორც საქართველოს მოქალაქე

**ეს განცხადება „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ თავმჯდომარე ალექსანდრე ებრალიძემ გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ ღონისძიებაზე სკაიპით ჩართვისას გააკეთა.**

**„შერატონ მეტეხი პალასში“ ზემოაღნიშნული კონგრესის თბილისის ფილიალის ორგანიზებით ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის „დავით აღმაშენებელი — 2013“ ლაურეატების დაჯილდოება გაიმართა. როგორც ფილიალის ხელმძღვანელი ნანა ჭყოიძე აცხადებს, კონკურსის პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭათ ანზორ აბულაშვილს, ბაჩანა ბრეგვაძეს, იგორ კვესელავას, რევაზ მიშველაძეს, სოსო სიგუასა და თემურ ქორიძეს. ასევე, კონკურსის ლაურეატის წოდება მიენიჭათ მზია ხეთაგურს, ციალა არდაშელიას, ცისანა ანთაძეს და ივანე ჯაფარიძეს.**

**ნანა ჭყოიძის თქმით, ჟურნალისტური პრემია — „თანამოკალმე“ მიენიჭა მიხეილ აიდინოვს, გაზეთ „მრავალეროვნული საქართველოსა“ და ლიტერატურული ალმანახის На холмах Грузии რედაქტორს. გარდა ამისა, ნანა ჭყოიძის თქმით, სპეციალური პრიზები მიენიჭათ რევაზ კვერენჩხილაძეს, ირაკლი ფაღავას, პაატა კვარაცხელიას, ნოდარ კობერიძეს და ნინო კობახიძეს.**



**კონკურსი 2009 წლიდან იმართება. წელს კი კონკურისის საპრემიო ფონდი 95 000 ლარის შეადგენდა. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეა „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ თავმჯდომარე ალექსანდრე ებრალიძე.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პროგნოზი

# მომავლის სავარაუდო სცენები: პანორამული ხედი



**ცნობისმოყვარეობა ადამიანის ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა, რომლის წყალობით იგი სამყაროს ეცნობა, სხვადასხვა მოვლენის სიღრმისეული შინაარსის ჩაწვდომას და მომავლის განჭვრეტას ცდილობს. სწორედ მომავლის პროგნოზირება და მასთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური რისკების გათვლაა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან (ცსს) არსებული დაზვერვის ეროვნული საბჭოს (დეს) მიერ გამოქვეყნებული დასკვნის „გლობალური ტენდენციები 2030: ალტერნატიული სამყაროების“ მიზანი.**

**უნდა ითქვას, რომ ანგარიშს, რომლის მასალებს დეს-ი, რომელიც აშშ-ის 16 სადაზვერვო უწყების წარმომადგენლებს აერთიანებს, მთელ მსოფლიოში მისხალ-მისხალ აგროვებს, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ აქვეყნებენ, პროექტის დაწყებიდან რიგით მეხუთეა და მასში უახლოესი 20 წლის მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების სცენარები და ორიგინალური შეფასებებია მოცემული.**

**ასეთი მოხსენებები მკითხველთათვის, კერძოდ, იმითაა საინტერესო, თუ რის წაკითხვა შეიძლება სტრიქონებს შორის. გაზეთ „ფიგაროს“ მთავარი რედაქტორის ყოფილი მოადგილის, გეოპოლიტიკის სფეროში ექსპერტის სტეფან მარშანის აზრით, მოხსენებაში ამერიკელთა გარკვეული შეშფოთება იკითხება: მათ იციან, რომ ეკონომიკურად გამოძევებას დაუპირებენ და ვითარების მართვის სადავეების ხელიდან გაშვების გზების ძიებაში არიან.**

ექსპერტებმა, უწინარესად, მსოფლიოში არცთუ შორეულ მომავალში ვითარების განვითარების „გლობალური ტრენდები“, „მეგატენდენციები“ გამოყვეს, რომლებიც მსოფლიო განვითარების ტრაექტორიებზე იმოქმედებენ, გამოაცალკევეს მათი განმსაზღვრელი საკვანძო ფაქტორებიც. მიღებული დასკვნით, **„2030 წლის მსოფლიო დღევანდელისგან ძირეულად განსხვავებული იქნება... რადგან ამ დროისთვის არც აშშ და ჩინეთი, ან რომელიმე სხვა დიდი ქვეყანა, მსოფლიო ჰეგემონი არ იქნება“.**

აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორთან მოქმედი დაზვერვის ეროვნული საბჭოს სპეციალისტებმა დაითვალეს, რომ **თუ 2010 წელს დედამიწის მოსახლეობა 6,8 მილიარდ კაცს შეადგენდა, 2030 წლისთვის მისი რიცხოვნობა მხოლოდ 1,7 მილიარდით გაიზრდება და 8,5 მილიარდს მიაღწევს.** ამასთან დაკავშირებით, მსოფლიოში გაძლიერდება ისეთი დემოგრაფიული ტენდენციები, როგორებიცაა **მოსახლეობის მიგრაცია და ურბანიზაცია: ეს იქნება მეგაპოლისების სამყარო, რომელშიც დაახლოებით ოცდაათი საქალაქო მეგარეგიონი გაჩნდება, რომელთაგან ზოგიერთი ორი-სამი ქვეყნის ტერიტორიას მოიცავს, ხოლო დღევანდელთან შედარებით ქალაქების ფართი სამჯერ გაიზრდება (!!). 2012 წელს ქალაქებში დედამიწის მოსახლების ნახევარი ცხოვრობდა, 2030 წლისთვის ქალაქელთა რიცხოვნობა 5 მილიარდ კაცს, ანუ 60 პროცენტს მიაღწევს. ყველაზე მეტი მოსახლეობის მყოლი ქვეყნების პირველი სამეული იქნება ინდოეთი, ჩინეთი და აშშ, ათეულის ჩამკეტი კი რუსეთი.**

ჯანდაცვის სფეროში ტექნოლოგიების განვითარების პროგრესის წყალობით სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დაბერებას, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში. გარდა ამისა **თითქმის ორჯერ გაიზრდება მოთხოვნა კვების პროდუქტებზე, წყალზე, აგრეთვე ენერგოშემცველებზე.**

2030 წლისთვის ექსპერტები მსოფლიოში სახელმწიფოთაშორისი და სამოქალაქო კონფლიქტების რიცხვის შემცირებას ვარაუდობენ, თუმცა კი ამავდროულად შეზღუდული ბუნებრივი რესურსების (წყალი და მიწა) მქონე ქვეყნებში კონფლიქტების მომრავლების საფრთხის შესახებაც ლაპარაკობენ. ასახელებენ ამ მხრივ ყველაზე არაკეთილსაიმედო რეგიონებსაც **— ახლო აღმოსვლეთს, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს.**

სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ოცი წლის შემდეგ ჩინეთი აყვავდება და მთელ აზიას გაიყოლებს: **ამ დროისთვის იგი ერთად აღებულ აშშ-სა და ევროპას მოსახლეობით, ასევე მთლიანი შიდა პროდუქტით, სამხედრო ხარჯითა და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციების მოცულობით გაუსწრებს.**

ამასთან, მოხსენების ავტორები აშშ-ს სამომავლოდ მაინც მნიშვნელოვან ადგილს უწინასწარმეტყველებენ, რაც, უწინარესად, ფიქლების ნავთობისა და გაზის წყალობით მისი ენერგეტიკული დამოუკიდებლობით იქნება განპირობებული. ეგრეთ წოდებული „ფიქლური რევოლუციის“ შედეგად ამერიკა შეძლებს ამჟამად ძირითადად ჩინური პროდუქციის დიდი ოდენობის გამო ძლიერ „გადახრილი“ საგარეო-სავაჭრო ბალანსის გასწორებას. ნახირწყალბადების მოპოვების ახალი ტექნოლოგიები ძირს გამოუთხრიან „შავ ოქროზე“ OPEC-ის კონტროლს, რამაც, მოხსენების ავტორთა აზრით, **„შესაძლოა, ნავთობისა და გაზის ექსპორტზე დიდად დამოკიდებულ ეკონომიკებზე უძლიერესი ნეგატიური ეფექტი იქონიოს და ნავთობის ფასების კოლაფსი გამოიწვიოს“.**

მსოფლიოში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და ეკონომიკური მწარმოებლობის ზრდაზე კვლავინდებურად უდიდესი ზეგავლენის მოხდენას განაგრძობს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება. ამასთან, სოციალური ქსელები და კიბერუსაფრთხოება მსოფლიო ეკონომიკის გაცილებით უფრო დინამიურ ბაზრებად გადაიქცევიან.

**რაც შეეხება კონკრეტულად მსოფლიო ეკონომიკას, ამერიკის დაზვერვის ექსპერტთა აზრით, ევროპის და, შედარებით ნაკლებად, რუსეთის ეკონომიკური პოტენციალები თანდათანობით ვარდნას განიცდიან, ხოლო ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკის, ინდონეზიისა და ნიგერიის ეკონომიკები თავისი წილის განუხრელ ზრდას განაგრძობენ.**

თუ დოლარი დაკარგავს გლობალური სარეზერვო ვალუტის სტატუსს და რომელიმე სხვა ერთი, ან რამდენიმე ვალუტით ერთდროულად შეიცვლება, ეს აშშ-ის გლობალური ეკონომიკური პოზიციების დათმობის უტყუარი ინდიკატორი იქნება, რაც ასევე მნიშვნელოვნად ძირს გამოუთხრის ვაშინგტონის პოლიტიკურ გავლენას.

2030 წლამდე მსოფლიო განვითარების სხვადასხვა სცენარის განხილვისას, ამერიკულ სპეცსამსახურთა ანალიტიკოსები ოთხ შესაძლო ტრაექტორიაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლებსაც, პირობითად, **„ფუჭი სვლის ძრავები“, „თანამშრომლობა“, „ჯინი ბოთლიდან“ და „არასახელმწიფო აქტორთა სამყარო“** დაარქვეს. პირველი მათგანი, რომელიც აშშ-სა და ევროკავშირის ეკონომიკურ წარუმატებლობებს გულისხმობს, დასავლეთის ქვეყნებს, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, არ აწყობთ; მეორე, რომელიც ამერიკის, ევროპისა და ჩინეთის საერთაშორისო ურთიერთობის ზრდასა და 2030 წლისთვის საერთაშორისო ეკონომიკის გაორმაგებას ითვალისწინებს, სავსებით მისაღებია. ხოლო დანარჩენი ორი ტრენდი უახლოეს პერსპექტივაში აშშ-სა და მის პარტნიორებს კარგს არაფერს უქადის.

გარდა აღნიშნულისა, **გლობალური განვითარების კატასტროფულ სცენარებში ასევე განხილულია ისეთი ექსტრავაგანტური და ნაკლებად სავარაუდო პროგნოზები, როგორებიცაა, მაგალითად, საყოველთაო ეპიდემია, მზისა და გეომაგნიტური ქარიშხლები,** რომლებსაც კოსმოსში თანამგზავრების, დედამიწაზე კი მთელი ელექტრონიკისა და **ენერგეტიკული ქსელების მწყობრიდან გამოყვანა შეუძლიათ.** სავსებით გამორიცხული არც **ამერიკის მოულოდნელი კოლაფსია, რაც საერთაშორისო საქმეებში ქაოსს გამოიწვევს და რეგიონალური ბირთვული ომის საფრთხეს გაზრდის.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ბლეფი

# სუფსის პორტის ნაცვლად — სუფსის ტბა

## ანუ ცრუპენტელა პრეზიდენტის „საუკუნის პროექტი“

**დღეს სააკაშვილი მის მიერ დაწყებული პროექტების შეჩერებაზე ელაპარაკება ხალხს, მაგრამ არ აკონკრეტებს მიზეზებს. თუმცა არც ის ახსენდება, რომ მის დროს დაწყებული ბევრი პროექტი ბლეფი აღმოჩნდა და მას უამრავი ჩვენი თანამოქალაქის ქონება შეეწირა.**

### მიწა პორტისთვის თუ გასაყიდად?

კომპანია „ბლექ სი პროდაქტსა“ და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შორის 2009 წელს გაფორმდა ხელშეკრულება სუფსაში პორტის მშენებლობის თაობაზე. უკვე წლის ბოლოსათვის მოსამზადებელი სამუშაოები 49 ჰექტარზე (სამშენებლო მოედანი, სადრენაჟო სისტემის მოწესრიგება) დაწყებული იყო. სამუშაოებს „საქჰიდროენერგომშენი“ აწარმოებდა.

ჩანაფიქრით (თუ წინასწარ მოფიქრებული ტყუილით), პორტი უნდა მომსახურებოდა როგორც საკონტეინერო, ასევე კომბინირებულ — ნავთობის, მარცვლეულის, ხორბლის, ავტომობილების გადაზიდვას და სხვა. უნდა ყოფილიყო რევერსული, ანუ გამშვებ-მიმღები ხაზები. ვარაუდით, პორტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ ტერმინალზე დასაქმდებოდა 2500-მდე ადამიანი.

კომპანიისადმი ექსპერტთა ეჭვები მას შემდეგ გაჩნდა, რაც გაირკვა, რომ ის ამგვარი გრანდიოზული პროექტების მშენებლობაში გამოუცდელი იყო (დაარსდა 2008 წელს), მისი შტაბბინა ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ იტალიაში, ბოლოს კი ოფშორულ ზონაში გადაიტანეს.

სააკაშვილისა და ვერა ქობალიას მტკნარი სიცრუის სჯეროდათ გურიის რეგიონული და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს. პრეზიდენტი ამბობდა, სუფსის პორტი იქნება ბათუმისა და ფოთის პორტებზე ღრმა, ეს იქნება ერთერთი უმოკლესი გზა გადაზიდვებისათვის, ასეთი დიდი მშენებლობა ბოლო პერიოდში არ ყოფილა, რომელზეც ათასობით ადგილობრივი დასაქმდებაო.

თავისი პატრონის ნათქვამს ეკონომიკურად ამყარებდა მეპურე ვერა. აქ აშენდება დიდი ტერმინალი უამრავი ტვირთისთვის, ლანჩხუთს, სადაც პორტის ინფრასტრუქტურა თავსდება ეკონომიკური აღმავლობა ელის, დასაქმდებიან ადგილობრივები — ვნებამორელი ყვიროდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. მისივე სიტყვებით პორტის აშენებისათვის (2012 წლის ბოლოს) დახარჯული იქნებოდა 700 მლნ-მდე ლარი.

არ ვიცით, დაიჯერა თუ დააჯერებინეს გურულ ჩინოვნიკებს ცრუ დანაპირები, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი აქტიურად ჩაებნენ პროექტის მშენებლობაში. „ბლექ სი პროდაქტმა“ ადგილობრივებისგან მიწების შესყიდვა მიზერულ ფასად — ერთ კვადრატული მეტრის 5 ლარად დაიწყო. არადა აუდიტორული შეფასებით მათი ფასი 25-35 ლარს შორის მერყეობდა. წინააღმდეგ წასულთ პოლიციას უგზავნიდნენ. უჭერდნენ შვილებს, ახლობლებს, აშინებდნენ და აშანტაჟებდნენ. მთელ ამ აურზაურს 35 ადგილობრივი მოსახლის ქონება შეეწირა.



საბოლოოდ კი ის მოხდა, რომ „დიადი მშენებლობის“ კომპანიამ მხოლოდ ადგილობრივი ტბა დააშრო, ისიც სანახევროდ. რის შემდეგაც სამშენებლო სამუშაოები შეწყდა.

მოსახლეობაში გაჩნდა ეჭვი, რომ „ბლექ სი პროდაქტი“ მიწებს არა სამშენებლო საჭიროებისა და სამუშაოებისთვის იძენდა, არამედ იმისთვის, რომ კაპიკებად ნაყიდი მიწები შემდგომ მამასისხლად გაეყიდა. მოსახლეობა ჩიოდა მათ მიმართ განხორციელებული ქონების ძალადობრივად ჩამორთმევის გამო. რეაგირება, რასაკვირველია, არ იყო. საჩივრების ახალი ტალღა პირველი ოქტომბრის მერე წამოვიდა.

დღეს სუფსის „საუკუნო მშენებლობის პორტის“ მაგივრად დარჩენილია გავერანებული მიწები და ნახევრად დამშრალი ტბა. მოსახლეობა კი ჩივის.

**ზაზა ბილიხოძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პრეზიდენტობანა...

# „ეს კურდღელი პარლამენტში უნდა მისულიყო და ყველა მწვავე კითხვაზე ეპასუხა...“

**ეს კომენტარები მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოსვლამდე ერთი დღით ადრე ჩავიწერე სოციალურ ქსელ ფეისბუკიდან.**

უმრავლესობის გადაწყვეტილებით, მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური ანგარიშით პარლამენტში დაგეგმილი გამოსვლა არ შედგება. პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ბიუროს სხდომაზე განაცხადა, რომ პრეზიდენტს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით სარგებლობა და პარლამენტში გამოსვლა მას შემდეგ შეეძლება, როცა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით სათანადო გადაწყვეტილება მიიღება, ან ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ დაფიქსირდება პრეზიდენტის და მისი პოლიტიკური გუნდის პოზიცია პარლამენტისთვის იმ უფლების დაბრუნების თაობაზე, რაც მას ეკუთვნის.




**„მე უფრო ორიგინალური ვიქნებოდი და 5 სხვადასხვა ენაზე მივმართავდი საზოგადოებას.“**

**„კითხვების შეეშინდა ბაჭიას? თუ მართალი კაცია, რატომ არ მიდის პარლამენტში?“**

**„ეს ისაა, ვიზიტებზე წიგნებით დატვირთული დელეგაციები რომ დაჰყავდა და გორში წიგნის კითხვაში გართულმა რუსის ვერტმფრენის მოახლოება რო ვერ შენიშნა?“**

**„აკრეფილია ეტყობა და უნდა დაიცალოს, თორემ აფეთქდება...“**

**„ვეფხისტყაოსანი“ მაგის დაწერიალია ხო, მგონი?“**

**„აი მე კი ველოდი, უმრავლესობა როგორ შეაძვრენდა ერთ ადგილას! სამწუხაროა, ახლა კი ნახეთ, როგორ გაიჯეჯილებს!“**

**„ყოველთვის როგორ ამართლებს თავის ბუნებრივ მდგომარეობას, მართლა რო კურდღელია, ისე ეს გიჟი რამ აგვარჩევინა პრეზიდენტად, თან 9 წლით?“**

**„ისე მართლა უნიკალური ერი ვართ. ეს 21-ე საუკუნეშიც კი დავამტკიცეთ. სხვაგან გიჟებს მკურნალობენ საქართველოში კი ქვეყნის მართვას ანდობენ, საოცარია“...**

**„კარგი რა, დააცადეთ ამ კაცს პრეზიდენტობანა...“**

**„აბა იქნება „მარგალიტები...“**

**„მაგისთვის ეგ ჯობდა, კითხვას არავინ დაუსვამს, გაიხსენებენ ძველ დროს და ილივლივებენ...“**

**„ბიბლიოთეკასთან რა კავშირი აქვს?“**

**„აი, ახლა კი უფრთხილდით მიშას! პარლამენტში კითხვებს მაინც დაუსვამდნენ, ახლა იქნება გიჟის მონოლოგი, რომელსაც ბოლომდე გვაყურებინებენ ტელევიზიები... კიდევ კარგი, არსებობს პულტი!“**

**„და რომ არ გვინდა მისი მომართვა? ისე რატომ არ ატარებენ ნაცების შეკრებას, მივიდეს იქ და მიმართოს რამდენიც ენებოს...“**

**„ზუსტად მაგის წისქვილზე მიუშვეს წყალი, მონოლოგის რეჟიმში წყალში თევზივითაა...“**

**„მიშას არც ეროვნული ბიბლიოთეკიდან მოუსმენს ხალხი, მაგრამ მაგასაც ეს უნდა... როდის ჰქონდა მიშას ხალხთან ურთიერთობის სურვილი, ყოველთვის მარტო უბერავდა“...**

**„ყველანი ხვალ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან! ყველა პოლიტპატიმრის საყურადღებოდ...“**

**„გია ცაგარეიშვილი პრეზიდენტს ურჩევს, მოსახლეობას ორთაჭალის დანგრეული ციხის ტერიტორიიდან მიმართოს...“**

**„ბიბლიოთეკის დირექციასთან (რომელიც, მგონი, პარლამენტს ექვემდებარება) შეთანხმებულია? რაღაც თამაშის სუნი მცემს...“**

**„უნდა აუჭედო რა ბიბლიოთეკის კარი და აღარც გამოუშვა“...**

**„ახლა მწერლებს უნდა აუშალოს ნერვები?!“**

**„ჩემი აზრით, არ იყო სწორი გადაწყვეტილება უმრავლესობის მხრიდან. უნდა მისულიყო ეს კურდღელი პარლამენტში და ყველა მწვავე კითხვაზე ეპასუხა. ყველაზე მაგრად მიშას გაუხარდა, რო აღარ უწევს ხვალ მისვლა.“**

**„სააკაშვილი ჩვენი პრეზიდენტი 20 იანვრის შემდეგ აღარ არის და რას იბჟუტურებს სულაც არ არის საინტერესო. მოვუწოდებ ნორმალურ ტელევიზიებს, რომ არ აჩვენონ მისი გამოსვლა. ძალიან გვაღიზიანებს.“**

**„5:0 ქართული ოცნების სასარგებლოდ!“**

**„აი ხომ ვამბობდი, ეს კიდევ ერთხელ მისი დემორალიზაციის შედეგია, ანუ დამთავრდა პარლამენტს ველარ უსწორებს თვალს, სადღააა შენი მიშა... აი, დასასრული“...**

**„მიშა ხვალ ბიბლიოთეკაში მიდის დედამისის მანქანით ბებიამისთან ერთად...“**

**ნატა ნიბლაძე**

ორი რეპლიკა – ორი წკეპლიკა

## კოკა, რომელსაც წყალი კვლავ მოაქვს

**პოსტნაცუმ გამორჩეულად გააქტიურებულმა უმწირესობელმა გოკა გაბაშვილმა „რუსთავი-2“-ის ნაცადი და ნაცური, მუდამ „მირთმევადი“ ეკრანიდან უტიფრად განაცხადა (7 თებერვალი, 18 საათის „კურიერი“): ეს ყველაფერი ივანიშვილის ხუშტურებიაო (რა ყველაფერი, ამჟამად არა აქვს მნიშვნელობა, „ხუშტურებზე“ ვაკეთებ მახვილს).**

რატო ევროპარლამენტი არ გაიცინებს – ივანიშვილის ხუშტურებზე ლაპარაკობს სააკაშვილის მართლა ხუშტურებზე, თანაც ცხრაწლიანზე, აღზრდილი, „სტაჟირებული“, სააკაშვილის ხუშტურებგამოვლილი, გნებავთ, ხუშტურებნაწვნევი კაცი, იგივე სუპერნაცი!... ჰოი, სირცხვილო, სად არის შენი სიწითლეო, ასეთ დროს ხომ არ უნდა წამოიძახო, ნეტა! ეს გახლავთ ის ვაი-გოკა, ენა რომ არ დაიმოკლა – ასეთ დროს ხომ არ უნდა მიულექსო, ნეტა! ისე, უთხარი შენ, ჯერჯერობით, კოკასაგან განსხვავებით, გაუტეხავად კი მოაქვს წყალი-და!..

## „ისტორიული“ პარალელები

**როგორც ბედკრული საქართველოს უნაცესი ისტორიიდან ვიცით, „სააკაშვილის წელთაღრიცხვის“ (2003-ის ნოემბრიდან ათვლილის) პირველ წელს ამ მრავალნაცადმა პოლიტიკოსმა 20 ათასი (დიდი-დიდი, 40 ათასი) ნაცის კარზე მიყენებით გადააყენა მაშინდელი ვადაგაუსვლელი პრეზიდენტი შევარდნაძე.**

ამოცანა გვეკითხება: რატომ ვერ ახერხებს ყოველგვარ ყავლს გადაცილებული პრეზიდენტის სააკაშვილის მოცილებას ამჟამინდელი ხელისუფლება ანუ ქაროცნე, რომელსაც ლანგრით არა, მაგრამ ტომრებით მიართვეს მილიონზე მეტი ხელმოწერა ამ პერპეტუმ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით? აბა, სად 20 ათასი (დიდი-დიდი, 40 ათასი) და სად მილიონზე მეტი (ამბობენ, სულაც 1 400 000)? ანუ, უფრო „თავაზიანად“ – სად ერეკლე, სად მერე თხლე?..

**ბერდია ბედოიძე**

ალიან-ჩალიანი

## „წამების გლობალიზაცია“ და საქართველო

**აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს (CIA) ტერორიზმში ეჭვმიტანილთა ძიებაში, დაკავებაში, ტრანსპორტირებასა და წამებაში 54 ქვეყნის ხელისუფლება უწევდა დახმარებას, მათ შორის – საქართველო. ამის შესახებ ფონდ „ღია საზოგადოების“ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშია აღნიშნული, რომლის სახელწოდებაა – „წამების გლობალიზაცია“.**

ანგარიში ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, რომელშიც შეჯამებულია ტერორიზმის წინააღმდეგ საყოველთაო ბრძოლის პირველი ათი წელი. ანგარიშის მიხედვით, საიდუმლო ოპერაციები მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ხორციელდებოდა.

„ღია საზოგადოების“ ექსპერტთა მონაცემებით, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ციხეები გაიხსნა ტაილანდში, რუმინეთში, პოლონეთსა და ლიტვაში. აშშ-ის სპეცსამსახურების საიდუმლო ოპერაციებში კი, აზიის 14, აფრიკის 13 და ევროპის 25 ქვეყანა მონაწილეობდა, მათ შორის - საქართველოც.

ანგარიშის მიხედვით, საქართველომ დააკავა პირები, რომელთა ექსტრადირებაც ხდებოდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ და ისინი საიდუმლო პატიმრობაში იყვნენ.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, 2002 წლის დასაწყისში, აშშ-ის ზეწოლით, საქართველომ რამდენიმე პირი დააკავა პანკისის ხეობაში, რომელთა ექსტრადირება შემდგომში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოახდინა.

ანგარიშში ასევე მოხსენებულია ყველა ის პირი, რომლებიც საქართველოში დააკავეს.

– 2002 წელს საქართველოში დააკავეს აბუ ჰასან ალ სური და ალჟირელი აბუ ბაქრ სადიქი. შემდგომში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მათი ექსტრადირება მოახდინა და იორდანიაში გადაიყვანა.

2002 წლის დასაწყისში, პანკისის ხეობაში საქართველოს უშიშროების სამსახურმა დააკავა იემენის მოქალაქე პომარ მუჰამად ალი ალ-რამა, რომელიც შემდგომში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გუანტანამო ბეის საპყრობილეში გადაიყვანა.

ასევე, 2002 წელს პანკისის ხეობაში დააკავეს ეგვიპტის მოქალაქე საიფ ალ-ასლამ ელ-მასრი, ალჟირის მოქალაქეები: ხაურ ალ-დინ ალ-ჯაზერი, სუფიან ალ-ჰუვარი, ჯამალდი ბუდრა. ყველა მათგანის ექსტრადირება ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოახდინა, – აღნიშნულია ანგარიშში.

## ირაკლი ალასანია ვეტერანებს შეხვდა

**შეხვედრა გუშინ თავდაცვის სამინისტროში გაიმართა. სამინისტროს ინფორმაციით, ირაკლი ალასანიამ ვეტერანებს უფლებებისა და სოციალური დაცვის პაკეტის შესაქმნელად თავდაცვის უწყების მიმართულებები გააცნო. თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა, რომელიც განიხილავს, თუ როგორ სტრუქტურულ ქვედანაყოფად უნდა ჩამოყალიბდეს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი. კომისია ასევე მუშაობს ვეტერანთა სოციალური დაცვის მექანიზმებზე. თავდაცვის მინისტრმა შეკრებილ ვეტერანებს სთხოვა, წარმომადგენლობითი ჯგუფი ჩამოაყალიბონ, რომელიც უწყებათშორისი კომისიის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას.**



უწყების ინფორმაციით, ირაკლი ალასანიამ ასევე აღნიშნა, რომ სამხედრო მოსამსახურეების მსგავსად, ვეტერანებიც პოლიტიკის მიღმა უნდა იყვნენ და მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ ვეტერანთა პოლიტიკის შემუშავებაში.

თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ვეტერანებს სამინისტროს კიდევ ერთი ინიციატივა გააცნო, სადაც თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ყოფილი ოფიცრებიც იქნებიან ჩართულები. ირაკლი ალასანიას თქმით, სამხედრო წარმატებები თუ მარცხი არასდროს ყოფილა გაანალიზებული. ამიტომ, სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე განხორციელებული ყველა ქმედება უნდა იყოს შესწავლილი. ეს შეცდომები და ვეტერანთა გამოცდილება გათვალისწინებული იქნება თავდაცვის მომავალ დოქტრინაში, რათა იგივე აღარ განმეორდეს. ვეტერანებთან შეხვედრას ასევე, ესწრებოდნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე და მისი მოადგილეები.

## საქართველო ოკუპანტების, თორთლაძე კი გასხვისებული ჯიპის გარეშე!..



**გია თორთლაძის წინააღმდეგ სახელმწიფო ქონების გასხვისების საქმესთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო, – ამის შესახებ განცხადება საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნათია სუხიაშვილმა გუშინ სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა.**

მისი თქმით, 2012 წლის 5 სექტემბერს საქართველოს კულტურის სამინისტროდან პროექტის „საქართველო ოკუპანტების გარეშე“ ორგანიზების მიზნით, „საქართველოს დეოკუპაციის ცენტრს“, რომელსაც გია თორთლაძე ხელმძღვანელობს, 350 000 ლარი ჩაერიცხა. ამავე პროექტის ფარგლებში, ცენტრისთვის უსასყიდლოდ და უვადოდ სარგებლობაში გადაცემული იქნა 104 602 ლარად ღირებული ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო“.

სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონი კრძალავს სახელმწიფო ქონების სარგებლობაში მიმღების მიერ ქონების გასხვისებას და როგორც ნათია სუხიაშვილმა აღნიშნა, დეოკუპაციის ცენტრის დირექტორმა გია თორთლაძემ არ გაითვალისწინა აღნიშნული კანონი და ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო“ 2013 წლის 4 იანვარს გაასხვისა 50 000 ამერიკულ დოლარად. თანხა კი მოიხმარა პირადი მიზნებისთვის.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში აცხადებენ, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ვის როგორ სტკივა

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების დეპუტატ ნაპოლეონ მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ (ქართულ და რუსულ ენებზე) შესახებ. დადგენილებას ახლავს „ინფორმაცია ნაპოლეონ მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთის“ შესახებ“, რომელიც პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილების გაგრძელების სახით დაიბეჭდა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“, №7, 15 იანვარი, 2013 წ.).**

ფრიად რთულ საქმეს მოვკიდე ხელი. არადა, გაჩუმება, მართლაც რომ ღალატის ტოლფასია. რთულია იმიტომ, რომ ჩვენ მეტ-ნაკლები დატვირთვით, ერთად გამოვიარეთ ის ჯოჯოხეთი, რომელიც თავს დაგვატყდა. და ეს არ იყო ერთჯერადი აქტი-ტრაგედია, ეს, ეპიზოდურად მეორდებოდა და ენგურს გამოღმაც გაგრძელდა.

ყველა შეთითხნილ ბრალდებას პასუხი რომ გაეცეს, შესაძლოა, იმავე მოცულობის წიგნი ხელახლა იქნეს დასაწერი. ამიტომაც მკითხველის ყურადღებას, ჩემი აზრით, იმ უმთავრეს საკითხებზე შევაჩერებ, რომელიც **წყალგამყოფი ხაზია ბ-ნ ნაპო მესხიასა და მის „კეთილ“ ოპონენტებს შორის.**

ახლახან, 26 იანვარს, დევნილთა ნაწილმა კინოსახლში თავი მოვიყარეთ დევნილთა ყრილობის მომზადების მიზნით. დამსწრეთა შორის იყვნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: თემურ მჟავია, ნუგზარ მგალობლიშვილი, ანზორ წოწონავა, ეთერ ასტიმიროვა და რაისა ქარაია. მათ იქვე დაარიგეს „საქართველოს რესპუბლიკის“ ის ნომრები, სადაც ზემოაღნიშნული მასალები იყო დაბეჭდილი.

სხდომა მიჰყავდა ბ-ნ ზაურ ბედიას (ცნობილი მფრინავი), რომელმაც, როცა თვალი მოჰკრა ნაცნობი გაზეთის ნაცნობი ნომრების დარიგებას, თავიდანვე განაცხადა, **დღეს შევიკრიბეთ დევნილთა ყრილობის მომზადების მიზნით და გთხოვთ, სხვა საკითხებზე არ ვისაუბროთო. ბატონი ნუგზარ მგალობლიშვილი ეტყობა ცდუნებას აჰყვა, სიტყვა მოითხოვა და ნიმუშად ორი ბრალდების მოშველიებით ბატონ ნაპო მესხიას „ქებათა-ქება“ აღავლინა.**

სიტყვა მეც მოვითხოვე და ბ-ნ ნუგზარ მგალობლიშვილსაც შევეპასუხე. პირველი, ვინც პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა, ბ-ნი **თემურ მჟავია გახლდათ, რომელმაც გასვლისას მომაძახა: „თქვენ ამისთვის პასუხს აგებთ!“**

## უმაღლესი ცრუბრალმდებელი

სამწუხაროა, რომ ასეთი ეპითეტით გვიწევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენიება. საქართველოს ხელისუფალთა პრაქტიკაში ცრუბრალდებები არახალია. ამის დიდოსტატი თვით ე. შევარდნაძე გახლდათ. სიმართლე მას იშვიათად თუ დაცდენია პირიდან.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დადგენილება და მისი გაგრძელება-ინფორმაციაც სწორედ ასეთი პათოსითაა შედგენილი. დადგენილების პირველსავე წინადადებაში ვკითხულობთ: „...წიგნში, „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“, მოცემულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრების მოღვაწეობის ამსახველი დამახინჯებული, ცილისმწამებლური ფაქტები...“ **უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მტკიცებით, წიგნის ავტორს „...მიზნად აქვს დასახული აფხაზეთის ტრაგედიაში ერთმნიშვნელოვნად დამნაშავედ ქართული მხარის გამოყვანა“.** თურმე ნუ იტყვით, – ბ-ნი ნაპო მესხია **„...დაკავებულია საკუთარი პერსონის განდიდებით... ავლენს პოლიტიკურ ახლომხედველობას...“,** იგი დახასიათებულია, როგორც **„...კოლაბორაციონალისტური, ბოღმიანი, პოლიტიკისგან შორს მდგარი პოზიციის მქონე განაწყენებული და ჩასაფრებული...** პოლიტიკური მსოფლმხედველობის...“ მატარებელ ადამიანად (ნეტავ, ბოლშევიკთა მიერ შეთითხნილი რომელი „ბრალდებებიდანაა“ ეს გადმოწერილი? გადასამოწმებელია **„მეგრელთა საქმე“, „ექიმთა საქმე“** და სხვ.).

ასეთი პრეამბულის შემდეგ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გაჭირვებია დადგენილების პირველსავე მუხლში ჩაეწერა ის, რომ **ეს წიგნი წარმოადგენს „...წინასწარგანზრახულობით შექმნილი ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რუსული იმპერიალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგიას...“** აი, თურმე სინამდვილეში ვინ არის ბ-ნი ნაპო მესხია. მოკლედ, გამოდის, რომ წიგნის ავტორი აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის რანგში **შეპარული რუსეთის აგენტი** და **აფხაზური აგრესიული სეპარატიზმის** (აწ უკვე „მხილებული“) **მხარდამჭერია.**

იარლიყის მიკერებაც ამას ჰქვია. ეტყობა, მავანი და მავანი გაღმა შეედავეს პოლიტიკას კარგად არის დაუფლებული.

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმი „ნაპოლეონ მესხიასგან მოითხოვს საჯარო ბოდიშის მოხდას...** წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას იტოვებენ სასამართლო წესით აღიდგინონ შელახული ღირსება. სხვათა შორის, საკითხავია, ვინ ვის უნდა მოუხადოს ბოდიში?

სასამართლო გარჩევით კი ემუქრებიან ბ-ნ ნაპო მესხიას, მაგრამ მინდა, ვიცოდე, რომელი მოსამართლისგან ელოდებიან ასე „დაჩაგრული“ ადამიანები „შელახული ღირსების“ აღდგენას? იქნებ მიხეილ სააკაშვილის „ჯიბის“ რომელიმე მოსამართლემ გამოიჩინოს „ობიექტურობა“, ან სპირიტიზმის უახლესი მეთოდებით პილატე გამოიხმონ, მედიუმად ბ-ნი ე. შევარდნაძე ან თვით კოტე კუბლაშვილი გამოადგებათ.

რაც შეეხება ინფორმაციას „...ნაპო მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ შესახებ“, – თავიდან ბოლო სტრიქონამდე კარგად შეფუთული პასკვილია. **გაოცებას იწვევს ინფორმატორთა პრიმიტივიზმი, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატების მოხმობითა და მაღალფარდოვანი ტერმინოლოგიის ციტატების მოშველიებით ავტორის იმ კუთხით წარმოჩინება, რომელიც მხოლოდ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის საშუალებას იძლევა.** ის დაწერილია წიგნის ავტორის განქიქებით და არა ფაქტების მოხმობით ფაქტების წინააღმდეგ. წერენ, – ბ-ნი ნაპო მესხია აღშფოთებულია იმით, რომ ის თავის დროზე აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, შემდგომში – უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე არ იქნა არჩეულიო. არა, ბატონებო, **ბ-ნი ნაპო აღშფოთებული იყო არა ამით,** არამედ იმ პოლიტიკანების აულაგმავი მოქმედებებითა და საბედისწერო შეცდომებით, რამაც **„უხვად მოიტანა ცრემლი და ცხედრები“** (გვ. 9).

ამ ფონზე, როგორც თვითონ წერს, ის ვერ გაექცეოდა ემოციებს, ხელმეორედ (უფრო სწორად, მერამდენედ!) განიცდიდა **„...თავს გადამხდარი უბედურება, ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრების მძიმე წუთებიც...“** (გვ. 10). იგი ტრაგიკულმა მოვლენებმა უფრო ულმობელი გახადა და **თქვა მწარე სიმართლე იმის შესახებ, რომ „აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა უგუნურობისა და ღალატის შედეგია“**(გვ.11).

ბატონი ნაპო მესხია წერს არა ვინმეს დავალებით, არამედ გულის კარნახით იმის თაობაზე, რომ „ვერც ნატოში გაწევრება და ვერც ვაშინგტონის გავლით რუსეთთან პირუთვნელი დიალოგი ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს... **აფხაზ ხალხთან, მის ლიდერებთანაა პირდაპირი დიალოგი საჭირო“** (გვ. 11). ამას ვერ იტყვის რუსული იმპერიალიზმისა და აფხაზური აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგეტი, როგორც ამას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გვარწმუნებს.

„ინფორმაციის“ ავტორები ბ-ნ ნაპო მესხიას ადანაშაულებენ იმაში, რომ მას „...მიზნად აქვს დასახული თუ დავალებული (დავალებული ვისგან? **ზ. კ.**) აფხაზეთის ტრაგედიაში უეჭველ დამნაშავედ ქართული მხარე გამოიყვანოს“. აი, სადამდე მიდის ამის დამწერი და ხელმომწერი (ერთ-ერთი ხელმომწერი რომ ბ-ნი თ. მჟავიაა, ეს თვითონ დაამტკიცა, მაგრამ ვეჭვობ ასე ვრცელი პასკვილის ერთ-ერთი ავტორი თვითონ იყოს. ბატონი ჯემალ გამახარია ასეთი რამებისათვის, ვფიქრობ, დროს არ დაკარგავდა, ხელმოწერაზე კი რაღა გითხრათ).

მინდა, მკითხველი მენდოს და საჯაროდ განვაცხადო წიგნის ღირსებებზე, იმ წიგნზე, რომელსაც თავიდან ბოლომდე ერთადერთი ლაიტმოტივი გასდევს: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთის ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობის გზების ძიება, დევნილთა დაბრუნება, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, ეთნიკური პოლარიზაციის მოხსნა, ტერიტორიების დეოკუპაცია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ეკონომიკის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტების... რეაბილიტაცია და განვითარება.

არავის ეგონოს, რომ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია. ბატონი ნაპოს მიერ შემოთავაზებული და განხორციელების ფაზაშიც კი იყო მრავალი პროექტი სამედიცინო ცენტრების, ვაჭრობის თუ სხვა კონკრეტულ საკითხებზე.

რაც შეეხება, თუ რომელი მხარეა (ქართული თუ აფხაზური) უფრო დამნაშავე, დაკვირვებულ მკითხველს არ უნდა გაუჭირდეს სწორი დასკვნების გაკეთება. წიგნის ავტორს ფრთიან ანგელოზად არც ერთი მხარე არ ჰყავს გამოყვანილი. სჯობს აქვე ითქვას: ბ-ნი გ. ლომინაძე და თ. ნადარეიშვილი აფხაზებს არ წყალობდნენ (არც აფხაზები წყალობდნენ მათ). ეს რომ არა, ტანკები საჭირო არ გახდებოდა. ეს იცის ხალხმა.

„ინფორმაციის“ ავტორები ბ-ნ ნაპო მესხიას წარმოგვიდგენენ, როგორც მონსტრს, რომლის უმთავრეს მიზანს მართვის სადავეების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა და არა შექმნილი დაძაბული სიტუაციისა და ეთნოდაპირისპირების განმუხტვა. ის, თურმე „...ავანტიურისტებს, აფხაზეთის კოლაფსის ჭეშმარიტ ავტორებს აფარებს ხელს... დამნაშავედ გამოყავს ქართველი ხალხი და ქართული სახელმწიფო...“ და




იქვე, – „...თითქოს სოხუმის მოქმედი ეროვნული ერთიანობის საბჭო წარმოადგენდა...“ იმ ორგანიზმს, რომელსაც „...უდევს ლომის წილი აფხაზეთის ტრაგედიაში“. აი, თურმე ბ-ნი ნაპოს სახით ვისთან გვქონია საქმე? საწყენია, როცა ასეთ პასკვილს უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე აწერს ხელს. ხელისუფლებაში „მრგვალი მაგიდის“ წყალობით მოსული კაცი (ბატონი თემური) სოხუმში მოქმედ ეროვნულ საბჭოს გამაერთიანებელ ისტორიულ როლზე რომ საუბრობდეს, საეჭვო მინიშნებებს იწვევს მის კეთილსინდისიერებაზე.

კარგად მახსოვს, ეროვნული ერთიანობის საბჭოს ცალკეული წევრები, თუ როგორ დასდევდნენ ცეცხლითა და მახვილით ეროვნული მოძრაობის („ჰელსინკის კავშირი“, „სახალხო ფრონტი“ და სხვ.) აქტივისტებს, ისინი არაერთხელ აგვდევნებიან ქუჩაში, სახლებშიაც კი გვივარდებოდნენ. მეც მათ მიზანში ვიყავი აყვანილი. ეროვნული ერთიანობის საბჭო „მხედრიონის“ და პირადად ჯაბა იოსელიანის (სახელმწიფო საბჭოთან ერთად) დასაყრდენი და მისი კურსის გამტარებელი იყო აფხაზეთში.

რეცენზენტები ერთი და იგივე საკითხების გარშემო ტრიალებენ. საგულდაგულოდ ტკეპნიან ნიადაგს იმისათვის, რომ სიმართლე მიჩქმალონ, ხოლო წიგნის ავტორი გამოუსწორებელ ცილისმწამებლად და უვიცად გამოაცხადონ. ანდა ავიღოთ შემდეგი მორიგი ბრალდება იმის შესახებ, რომ ბ-ნი ნ. მესხია „...თაფლში ამოვლებულ სიტყვებს უშურველად იმეტებს აფხაზი კოლეგების განსადიდებლად“. ამ ინფორმაციის ავტორებს, ალბათ, გამორჩათ შავით თეთრზე ნაწერი შემდეგი სიტყვები – „კონფრონტაციის თავი და თავი, იმთავითვე იყო აფხაზთა ანტიქართული განწყობა, ეს აქსიომაა და მტკიცებას არ მოითხოვს (გვ. 19). პატივცემულო ინფორმატორო, განა ეს თაფლში ამოვლებული სიტყვებია?


ჯოჯოხეთის გზა

ინფორმატორები შიგა და შიგ ეროვნულ მოძრაობის ძალებსაც უტევენ და აქაც ბ-ნი ნაპო მესხიას დანაშაულის კვალს ეძებენ. ისინი ნიშნის მოგებით კითხულობენ: „ჩატარებულა კი ოდესმე აფხაზეთში (თუნდაც მის ფარგლებს გარეთ) ანტიაფხაზური მიტინგი?.. „ანტიაფხაზურს ვერ გავიხსენებთ, თუმცა, როგორ გაიხსენებ, როცა ასეთი რამ ცხადში არ ყოფილა“. ეს, მე ვიტყოდი, სულში ჩაფურთხებაა და მეტი არაფერი! ნუთუ ამ სტრიქონების დამწერმა (ასევე, ხელმომწერმა!) ერთხელ მაინც არ შენიშნა ის მრავალათასიანი მიტინგები, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში 112 დღის განმავლობაში რომ ტარდებოდა? როგორ, განა ეს არ იყო ანტიაფხაზური მიტინგები? მომიტინგეებზე მუქარა- მუქარაზე მოდიოდა (როგორც ქართული, ასევე აფხაზური მხრიდან). ამიტომაც დავტოვეთ საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია და მეტი დაცულობის თვალსაზრისით სოხუმის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე გადავინაცვლეთ. ნუთუ ის ულმერთო, ვინც ამას წერს, სანთლის ასანთებად ეკლესიაში ერთხელაც არ მოსულა? ჩვენ მიტინგებს ვმართავდით აფხაზეთის გარეთაც. რად ღირს თუნდაც „სოხუმი – მოსკოვი – სოხუმის“ რეისის თვითმფრინავის ვნუკოვოს აეროდრომზე ჩემი ჯგუფის მიერ შტურმით აღება და მასთან დაკავშირებული პერიპეტიები! როგორ, მიტინგებზე, მანიფესტაციებსა და სხვა აქციებზე (შიმშილობის აქციები) ჩვენ რა, აფხაზი სეპარატისტების ქება-დიდებით ვიყავით გართულნი? სახელდახელოდ აღვნიშნავ: ეს იყო ანტიაფხაზური და ანტიქართული, ამავე დროს სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების მამხილებელი მიტინგები. გრცხვენოდეთ მაინც, ამას რომ წერთ, მით უმეტეს, ხელს რომ აწერთ! მე ისიც მახსოვს, ამ მიტინგებსა და საპროტესტო სხვა აქციებში ბატონი ნ. მგალობლიშვილი და არც ბ-ნი თ. მჟავია ერთხელაც არ მინახავს მოსული.

რაც შეეხება „...მთავრობის სახლთან, ცენტრალურ მოედანზე...“ ჩატარებულ „ანტიაფხაზურ“ მიტინგს (მე ის ანტიაფხაზურ მიტინგად არ მიმაჩნია, ის იყო ანტისამშვიდობო მიტინგი, **ზ. კ.**), აღვნიშნავ: კარგად მახსოვს, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს შტაბში მოვიდა ბ-ნი გივი ლომინაძე და გვთხოვა, მიტინგი ერთად ჩაგვეტარებინა. ჩვენ ბატონი გივი ჩვენს მიტინგზე მივიპატიჟეთ. ეს მან არ ისურვა და გაწბილებულმა უმალ დაგვტოვა. ორი მიტინგი, ორი პოზიცია, – ასე შეაფასა მასმედიამ ჩვენი და ეროვნული ერთიანობის საბჭოს პოზიციები. უხეშად რომ ვთქვათ, ბ-ნ გივი ლომინაძის მიტინგზე 1000-მდე კაცი თუ იქნებოდა, ჩვენთან, როცა მიტინგი ტარდებოდა, ყველაზე ცოტა 10 ათასი კაცი მაინც იყრიდა თავს. უფრო ხშირად კი – 20-30 ათასი კაცი.

„ჩვენ მაინც გაიძულებთ ქართველებს, პირველებმა გვესროლოთ ჩვენ, აფხაზებს“, ბ-ნ ნ. მესხიას თავის წიგნში მოჰყავს რა ვ. არძინბას ეს სიტყვები, წერს: „ჩვენ კი ჭკუა არ გვეყო და ვესროლეთ კიდევაც“ (გვ. 25). ამიტომაც არ ერიდება ბ-ნი ნაპო უფრო მკაცრ შეფასებასაც: „...აფხაზეთის ტრაგედიის შემოქმედნი ჩვენ, ქართველები ვართ“.

ინფორმატორები თანდათან ექსტაზში შედიან, წიგნის ავტორს ახალ-ახალ ბრალდებებს უყენებენ და თქვენ წარმოიდგინეთ იგი „...რუსულ მონობას დანატრებული ადამიანი...“ ყოფილა. ამ კონტექსტში საერთაშორისო რეზონანსის მქონე „ფაქტებიც“ არის მოშველიებული. გვიშველეთ, იგი ნატოში საქართველოს გაწევრების წინააღმდეგიაო. ნუთუ მათ არ იციან ის, რომ ტერიტორიულად დაქუცმაცებულ, ნახევრად ანექსირებულ საქართველოს ნატოში არავინ და არასოდეს არ მიიღებს?! თავიანთი ჭკუით, ხმა ამერიკასაც (აშშ) მიაწვდინეს, – არიქა, ბ-ნ ნაპოს თქვენი საგარეო პოლიტიკა არ მოსწონს და რაიმე იღონეთო!

ინფორმატორები საოცარ „აღმოჩენებსაც“ აკეთებენ. იმ სახით, რა სახითაც წარმოგვიდგენს ბატონი ნაპო კოლხურ-მეგრულ თემატიკას, წერენ ისინი – „...უფრო მეგრული სეპარატიზმის (რომელიც ბუნებაში არ არსებობს და ჩემი ღრმა რწმენით არც არასოდეს იარსებებას) წახალისებაა...“ მინდოდა მეთქვა, წერენ ისინი, მაგრამ ხელში მარტო ერთი ავტორი შემრჩა. მიაქციეთ ყურადღება ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვებს, – „...ჩემი ღრმა რწმენით...“

თავიდანვე ცხადი იყო, ეს პასკვილი არც თ. მჟავიას და არც ჯ. გამახარიას მიერ არაა დაწერილი. მჯღაბნელი სადღაც კულუარებში ზის და მავანთა დავალებას ასრულებს.

ინფორმატორის (უკვე მხოლობით რიცხვში) მიერ „გახსნილია“ არა ერთი და ორი „ტრაგიკომიკური ფარსი“, რომელიც, თურმე, ბ-ნ ნაპოს „შეუპარებია“ თავის წიგნში. ჩვენ მათზე არ შევჩერდებით, რამეთუ ეს „ინფორმაცია“ სავსეა მსგავსი, თანაც არაფრისმთქმელი წვრილმანებით. თუმცა, ინფორმატორი ამ წვრილმანებით თვით მიდის ტრაგიკომიკურ დასკვნამდე. ყვე-



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლა სიკეთესთან ერთად, ნუ იტყვით და ბ-ნი ნაპო მზაკვარიც ყოფილა, დამნაშავეც და მოღალატეც, თანაც განდიდების მანიით შეპყრობილი. მოკლედ, საშიში ადამიანი.

ვიტოვებ უფლებას, მივმართო ბ-ნ ნაპო მესხიას მიმართ ამ ცილისმწამებლური, მართლაც ღირსების შემლახველი დადგენილებისა და ინფორმაციის ინიციატორებს, — გეყოფათ! ნუ მანიპულირებთ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით. თუ ბატონი ნაპო მესხია „...განიცდის სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტს...“, მაშინ რა უნდა ვთქვა თქვენზე, ალბათ, ის, რომ თქვენ სინდის-ნამუსის დეფიციტს განიცდით! თქვენ გაურბიხართ სიმართლეს, ფაქტებს, რომლებიც ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ როგორ სხვისდებოდა (იყიდებოდა) აფხაზეთი. გავაგრძელოთ?!

აფხაზეთიდან დევნილთა არმიას სული-ღა გადმოყვა მხოლოდ, ზოგიერთებს — ათასები და მილიონები! გავაგრძელოთ?!

ვინ „აითვისა“ ჰუმანიტარული დახმარებები და გაჭირვებაში ჩავარდნილთა მწარე ხვედრით ხელი ვინ მოითბო?!

არავინ არ გერჩით, მოუარეთ დათრეულ გროშებს! გავაგრძელოთ?! გზას ნუ ულობავთ იმათ, ვისაც აქვს მორალური უფლება და ნდობა, ელაპარაკოს ჩვენს თანამოძმე აფხაზებს.

ინფორმატორ-რეცენზენტი ბ-ნ ნაპო მესხიას წარმოგვიდგენს, როგორც გაბოროტებულ და დაბოლმილ პიროვნებას იმის გამო, რომ ის არჩეული არ იქნა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ.

# აფხაზეთი!

**წიგნის — „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ — ავტორისგან:**

**წავიკითხე თქვენი პასკვილი! ო, ღმერთო ჩემო! რამდენი ბოღმა, რამდენი შხამი, რამდენი ყბადაღებული სიცრუე, რამდენი ურცხვი ცილისწამება!.. მართლაც რომ უსაზღვროა ადამიანის შესაძლებლობანი! ის რას არ იკადრებს, თუ კი ძალიან მოინდომებს! ეს მით უფრო მაშინ, როდესაც შუბლის ძარღვი მთლად აქვს გაწყვეტილი!..**

**რამდენიც არ ეცადოს საველემ, მას არაფერი გამოუვა, — ის დღეს ყველას თვალწინ ვერ გადაიქცევა პავლედ!**

**ზოგიერთი ჩემი კოლეგის ასეთი მცდელობა უბრალოდ აუხდენელ და რბილად რომ ვთქვათ, ამაზრზენია. ამიტომაც მათ მაგიერ მე მეუფლება უხერხულობისა და უკმარისობის გრძნობა! თქვენ მე კი არა, სიმართლესა და ხალხს ემიჯნებით! ასე რომ, არ გინდათ!**

**მორჩით, — ვაშინერს! გეშინოდეთ ღმერთის!**

**პატივისცემით თქვენი ნაპო მესხია.**
**8 თებერვალი, 2013.**

წიგნში საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი ის ვირეშმაკობანი, რომლის მიზანს ბ-ნ ნაპო მესხიას კანდიდატურის მოხსნა ან ჩაგდება წარმოადგენდა. შევახსენებ მკითხველს: წინასწარ შეთანხმებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის (ვ. არძინბას) და მისი მოადგილის (თ. ნადარეიშვილის), ასევე მთავრობის თავმჯდომარის (ნ. მესხიას) არჩევნები ერთ პაკეტად უნდა შემდგარიყო. მე არ ვიცი, რატომ და როგორ, მაგრამ კენჭი ეყარა მხოლოდ ვ. არძინბას და თ. ნადარეიშვილის კანდიდატურებს. ვფიქრობ, აქაც ვიღაცის ხელი ერია. მთავრობის თავმჯდომარის პოსტი ღიად დარჩა, ანუ მივიღეთ მთავრობა პრემიერის გარეშე. ეს აწყობდა ვ. არძინბას და, როგორც ირკვევა, თამაზ ნადარეიშვილსაც.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტი საკმაოდ დიდხანს ელოდა თავის პატრონს, მაგრამ ამაოდ! საქმეში სახელმწიფო საბჭო და პირადად ჯაბა იოსელიანი ჩაერია. თამაზ ნადარეიშვილი დარწმუნდა იმაში, რომ თუ კენჭისყრაზე ბ-ნ ნაპო მესხიას კანდიდატურა დადგებოდა, კიდევაც გავიდოდა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, ეს მას არ აწყობდა. ბატონი ნაპო მესხიასთვის ცნობილი ხდება კულუარებში მიმდინარე თამაშები და უარს ამბობს კენჭისყრაზე. შედეგად, კენჭისყრაზე ჯაბა იოსელიანის პროტეჟე ბ-ნი გივი ლომინაძის კანდიდატურა დგება. მას მხარს ფორმალურად თამაზ ნადარეიშვილი უჭერს (მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იცის, ბ-ნ გივი ლომინაძის კანდიდატურა ჩავარდება). თ. ნადარეიშვილის გათვლები ზუსტი აღმოჩნდა, — ბ-ნ. ლომინაძის კანდიდატურა ჩავარდა, მაგრამ... აფხაზეთის პრემიერ-მინისტრად ვაჟა ზარანდია მივიღეთ.

## მთავარი სათქმელი

მთავარი სათქმელი მართლაც რომ წინ გველოდება. მანამდე ორი ეპიზოდური შტრიხიც. მე მაშინ სახელმწიფო მინისტრის ბ-ნ გურამ აბსანძის ერთ-ერთ განყოფილებას ვხელმძღვანელობდი (2004 წ.). ცოტა მოგვიანებით კი — პრეზიდენტის სტრუქტურაში განყოფილების უფროსად (2005 წ.) კურატორი ისევ ბ-ნი გურამ აბსანძე გახლდათ. ბუნებრივია, აფხაზეთი, სახალხო დიპლომატია, ქართული დიასპორა... ჩვენი საზრუნავი სფერო გახლდათ. ვგრძნობდით, გვაკლდა ის კაცი, ვინც მეგზური იქნებოდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა დალაგებაში. ბ-ნმა გურამმა საკუთარი ინიციატივით სასაუბროდ ბ-ნი ნაპო მესხია მოიწვია და წინადადება მისცა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში მისი თავმჯდომარის რანგში დაბრუნებულიყო. ბ-ნ ნაპოსგან თანხმობის მიღება არც ისე იოლი გამოდგა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, არჩევნების დღეც დადგა. ჩვენს ჩანაფიქრს, — ერთად, უნისონში გვემუშავა აფხაზეთის პრობლემებზე, — ვიღაც ბლოკავდა. არჩევნების მიმდინარეობისას, — იგონებს ბ-ნი ნაპო, საპროგრამო გამოსვლაც კი დამთავრებული არ მქონდა, მობილურით იუსტიციის მინისტრი ბატონი ზურაბ ადეიშვილი მიკავშირდება. ის მეუბნება: „ბატონო ნაპო, ჩვენ ვიცით ვინ ხართ, რა კაცი ბრძანდებით, მაგრამ ახლა გვჭირდება მჟავია, მოხსენით თქვენი კანდიდატურა და გზა დაუთმეთ ბატონ მჟავიას. ეს ასეა საჭირო“ (გვ. 179). ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ უფლებას ვიტოვებ ბატონ თ. მჟავიას შევეკითხო, — ახლა ვის სჭირდებით, ასეთ პასკვილს ხელს რომ აწერთ?! მკითხველთა საყურადღებოდ: ბ-ნმა ნაპომ დეპუტატებს სიტყვა-სიტყვით აუწყა რა ბატონ ზურაბ ადეიშვილთან საუბრის შინაარსი, იქვე მოხსნა თავისი კანდიდატურა.

არც მორიგი მცდელობა გამოდგა შედეგიანი. ბატონი გურამ აბსანძე ბ-ნ ნაპოს ისევ დაუკავშირდა. შეხვედრაც შედგა. ამჯერად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარეობაზე იყო საუბარი. მახსოვს, ბ-ნი ნაპო რარიგ შეწუხდა, უარიც გვითხრა, მაგრამ ჩვენ არ ვეშვებოდით. სამწუხაროდ, ისევ გამოჩნდნენ „უჩინმაჩინიანი“ პირები და ეს ჩანაფიქრიც განწირული აღმოჩნდა.

ეს ის ფაქტებია, რომლებიც გადამოწმებასაც კი არ ექვემდებარებიან, რამეთუ ამ მოვლენების მონაწილე აქტიორები, აწ განსვენებული თამაზ ნადარეიშვილის გარდა, ადგილზე არიან და ვიცი, მაინცდამაინც არც მეხსიერებას უჩივიან.

დაბოლმილი და გაბოროტებულია, — წერს ინკოგნიტო ინფორმატორი და ნუ იტყვით, „...საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული, ამავე დროს განაწყენებული და ჩასაფრებულიც“ ყოფილა. ნეტავ, ბ-ნი ნაპო ვის ჩაუსაფრდა?! იქნებ პირიქით კი იყო ჩასაფრების მომენტები და ისიც არაერთხელ.

ბ-ნი ნაპო მესხია ბრძოლის ველიდან არასოდეს გაქცეულა, — არც აფხაზეთში და არც სხვაგან, მაშინაც კი, როდესაც ის დასახვრეტად გაჰყავდათ. მან კოლოსალური სამუშაოს შესრულება შეძლო.

მივმართავ მის, მართლაც და დაბოლმილ, ოპონენტებს: ერთ მხარეზე ჩამოწერეთ ის, რაც ბ-ნ ნაპოს გაუკეთებია (მხოლოდ ის ფაქტები, რომლებშიც თქვენ ეჭვი არ გეპარებათ) და მეორე მხარეზე ის, რაც თქვენ, ყველას ერთად გიკეთებიათ. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ სასწორის პინა ბ-ნ ნაპო მესხიას მხარეს ჩამოწვება და გააკეთებდა გაცილებით მეტს, რომ ჰქონოდა მხარდაჭერა და არა ხელისშეშლა. სწორად გამიგოს ბ-ნმა ჯემალ გამახარიამ, — ეს მას და უმაღლესი საბჭოს ზოგიერთ დეპუტატს არ ეხება. ბ-ნმა ჯემალმა თავისი მეცნიერული კვლევებით ბევრ ისტორიულ მოვლენას ნათელი მოჰფინა და ეს ფრიად დასაფასებელია. მაგრამ, ამასთან ერთად, ბევრ ჩვენს საერთო მეგობარს უკმარისობის განცდაც აწუხებს. კერძოდ ის, რომ ამ სათაკილო თამაშებში ის არ უნდა ჩარეულიყო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, თუ მას ესწრებოდა, თავის პოზიცია დაეფიქსირებინა.

ისტორიული მეხსიერება არ კვდება. ის თაობიდან თაობაზე გადადის და ხალხში ცოცხლობს. მით უმეტს, — ორი ათეული წლის წინათ მომხდარი მოვლენები დღეს უფრო ნათლად არის წარმოჩენილი, მათი შეფასებაც უფრო მეტ ობიექტურ ხასიათს იძენს. სამწუხაროდ, ამას ვერ იტყვი ინფორმატორ-გრაფომანზე, რომელსაც ბატონ ე. შევარდნაძის შემდეგი სიტყვები ავიწყდება(?!): „რომ არა სოხუმში შესვლა, ომი აფხაზეთში შეიძლება აღარ დაწყებულიყო“ (გვ. 328), ან კიდევ: „პირველი პრეზიდენტის დროს ქართველების შეჭრა სამხრეთ ოსეთში ავანტიურისტული ნაბიჯი იყო. ოსებს ბოდიში მოვუხადე იმ შეჭრისათვის, რომელიც არ უნდა მომხდარიყო და სისხლი არ უნდა დაღვრილიყო“ (გვ. 324). გამაგებინეთ მაინც, — ამ მჯღაბნელისათვის ე. შევარდნაძის ეს ბოდიშები თუ მისაღებია, აფხაზებმა რა დააშავეს ისეთი? იმავე ინტერვიუში „მეორე“ ე. შევარდნაძე თვალებში პირდაპირ ნაცარს გვაყრის: „ბოდიშის მოხდა რომ შველოდეს საქმეს და აფხაზეთი დაბრუნდებოდეს, სამებაში ან სადაც არ უნდა იყოს, მივიდოდი და ბოდიშს 100-ჯერ მოვითხოვდი“ (გვ. 325).


უგუნურობის შედეგი

ბოდიშის მოხდა თვითმიზანი და ყველა ტკივილის მომხსნელი პანაცეა არ არის, მაგრამ სიმართლის თქმა და შეცდომების (დანაშაულის) აღიარება სახალხო დიპლომატიაში აუცილებელი შემადგენელია. ხალხთა შორის შერიგების სხვა, უფრო შედეგიანი რამ ბუნებაში არ არსებობს. მხოლოდ ამით არის განპირობებული ბ-ნ ნაპო მესხიას აფხაზებისადმი მიმართვით ნათქვამი სიტყვები: „...ავივსოთ ვაჟკაცობით და ყველას გასაგონად წარმოვთქვათ: დამნაშავეები ვართ, გვაპატიეთ ხალხო, ვინანიებთ!!!“

ნუ ავჩქარდებით, ნაუცბათევ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ და ამ სიტყვების ავტორს ღალატში ნუ ვდებთ ბრალს.

ვინც ქართულ-რუსული ურთიერთობებისა და რუსეთის იმპერიული ზრახვების ისტორიას იცნობს, დამეთანხმება, რომ აფხაზეთის ტრაგედიას რუსეთი სულ ცოტა 250 წ. მანძილზე ამზადებდა. ფაქტებს არ ჩამოვთვლი. საბჭოთა პერიოდში აფხაზეთს არა თბილისი, არამედ მოსკოვი მართავდა. ამდენად, ვერც ისტორიულ და ვერც ახლო წარსულში ჩვენ, ქართველებმა, აფხაზეთს ვერ ვუპატრონეთ. უფრო მეტიც, — „...აფხაზეთის ტრაგედიის სცენარი სხვაგან შორს, საგულდაგულოდ მზადდებოდა. ჩვენ მხოლოდ უზადოდ შევასრულეთ რეჟისორის ჩანაფიქრი“ (გვ. 24). შეუძლებელია ბ-ნ ნაპოს ამ სიტყვებს არ დაეთანხმო.

გვერდს ვერ ავუვლი, ინფორმატორის აზრით, მორიგ „მძიმე“ ბრალდებასაც. ბ-ნი ნაპო წერს. „...როგორ შეიძლებოდა აფხაზეთი ყოფილიყო საქართველოს ისტორიული ოლქი, როდესაც ტერმინი „საქართველო“, როგორც ასეთი, ისტორიაში ჯერ კიდევ არ არსებობდა, ხოლო „ქართული“ და „ქართველი“ შეიქმნა აგერ ახლახან, თითქმის გუშინ, მე-15 საუკუნის შუაგულში“ (გვ. 23):

არავინ დაობს იმაზე, რომ საქართველოს სამათასწლოვანი ისტორია და კულტურა გააჩნია. ეს ბ-ნმა ნაპომ კარგად იცის, მაგრამ იცის ისიც, თუ რამდენჯერ განიცადა საქართველომ ფეოდალური დაშლა-დაქუცმაცება. მეორეც, საქართველოს ისტორია გაუგონარი დოზით არის დამახინჯებული. ეს ამონარიდიც ამ დამახინჯებათა ანარეკლია და გონიერმა მკითხველმა საპირწონედ არ უნდა გამოიყენოს ბ-ნ ნაპო მესხიას მოღვაწეობის გასამუქებლად. დროა, ჩირქცხებას მოვეშვათ! დასკვნით ნაწილში ბრალმდებლის როლში მყოფი ინფორმატორი ბ-ნ ნ. მესხიას მოღვაწეობას აფასებს, როგორც „...ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას, რომელიც შეუნიღბავად უპირისპირდება ქართულ სახელმწიფოს“. მისივე მტკიცებით „...წიგნში ნათქვამი ზოგიერთი სიმართლეც კი (მაგალითად ე. შევარდნაძის შეფასებები და ა. შ.), როგორც წესი, ანტიქართულ სამოსელშია გახვეული“. ე. შევარდნაძე წერილში, „თუ არა სოხუმში შესვლა, ომი აფხაზეთში შეიძლება აღარ დაწყებულიყო“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №186, 3 ოქტომბერი , 2008 წ.), რომელიც ბატონ ნ. მესხიას წერილის პასუხს წარმოადგენს, ვკითხულობთ: „ბატონ ჯაბას (ჯაბა იოსელიანი, **ზ.კ.**) პატრიოტიზმში (რომელიც თავის მოგონებებში ბევრ არასასიამოვნო რამეს ლაპარაკობს ჩემზე) არასოდეს ეჭვი არ შემპარვია“. ახლა ბატონ ედუარდს შევეკითხოთ: მას ზვიად გამსახურდიას პატრიოტიზმში როდის შეეპარა ეჭვი? ანალოგიური კითხვით მივმართავ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მის მიერ დაქირავებულ ინფორმატორს: ბატონებო, ნაპო მესხიას პატრიოტიზმში როდის შეგეპარათ ეჭვი?

## ახლა კი დაპირებულ მთავარ საქმეზე ვისაუბროთ

წიგნი გამოცემულია 2009 წ. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება 2012 წ. 29 სექტემბრით არის დათარიღებული, ანუ საპარლამენტო არჩევნებამდე 2 დღით ადრე, ხოლო გამოქვეყნდა თანდართულ პასკვილთან ერთად 2013 წ. 15 იანვარს. რატომ ასე დაგვიანებით? საოცარი შუალედები და დამთხვევებია.

საკითხავია, რა „მექანიზმის“ ამუშავებას ცდილობენ დღევანდელი მობოლშევიკო ამხანაგები? ხომ არ ჩქარობენ?

ადვილი მისახვედრია, — ეს არის ზემოდან დაკვეთით მიღებული დადგენილება, მაგრამ შემსრულებლებმაც კარგად იზრუნეს იმისათვის, რომ ხელიდან არ გაეშვათ ფაქტებით შეიარაღებული ოპონენტის ჩაჩუმების ხელსაყრელი მომენტი. ეს ერთი.

მეორე. ეტყობა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და დეპუტატთა გარკვეული ნაწილი ქვეყნის მთავარი მატყუარა — თაღლითის, ვადაგასული პრეზიდენტის, იუდუშკა სააკაშვილის ილუზორული გეგმების ტყვეობაში არიან, — ფიქრობენ, ნაცმოძრაობა ვაითუ ისევ უმრავლესობაში მოვიდესო?!

მესამე. ეს არის მოსალოდნელი მხილებისაგან თავდაცვის მიზნით წინასწარ შეთითხნილი „კონტრბრალდებების“ ილუსტრირება. ორი რა არის, ერთდროულად სამი კურდღლის დაჭერაზე ფიქრობენ.

მაგრამ ამაოდ! მატარებელი დაიძრა, ვადაგასული პრეზიდენტი ახლა უკანა ვაგონში ზის და იმაზე ფიქრობს, ელმავალი აღმართს რომ შეუდგება, იქნებ სიჩქარემ იკლოს და ისე გადმოხტეს, რომ რამე არ მოიტეხოს. ძნელი სათქმელია, იგი როგორ „ნახტომს“ გააკეთებს.

ამ ნახევრად ლირიკული გადახვევა-განტვირთვის შემდეგ უფლება არ მაქვს, გადაუდებელ ამოცანებზე არ ვისაუბროთ.

1. დღეს, როგორც არასდროს, გვეძლევა უცილობელი შანსი, უახლოეს პერსპექტივაში დაიწყოს და წარმატებით განვითარდეს აფხაზთა და ქართველთა (თანაბრად, — ოსთა და ქართველთა) შერიგების პროცესი .

2. განსახილველად მიღებული უნდა იქნეს ყველა ინიციატივა, — კერძო თუ კოლექტიური, მათ შორის ის პროექტები და წინადადებები, რომლებიც ბ-ნ მესხიას წიგნშია წარმოდგენილი.

3. დევნილთა ყრილობის მოწვევის მიზნით შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა (რომლის წევრიც მე ვარ) კონსულტაციები იქონიოს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების დაწყებისა და ამ პროცესში ბ-ნ ნაპო მესხიას მონაწილეობის შესახებ.

წერილი დასაბეჭდად გამზადებული მქონდა, როდესაც დევნილთა ყრილობის მოსამზადებელ შეხვედრაზე ბ-ნ ნაპო მესხიას სიტყვებს ვისმენდი იმის თაობაზე, რომ საჭიროა გავერთიანდეთ შერიგების იდეის გარშემო. ჩვენ ვაკეთებთ ერთ საქმეს და ერთად უნდა ვიმოქმედოთ. მისმა შეგონებამ ერთი შესანიშნავი სიმღერა გამახსენა, რომელიც ასე იწყება: „ხიდისთავს შევკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია...“ დაილოცოს დედის ნანასავით ტკბილი ქართული ხალხური (ასევე აფხაზური და ოსური) სიმღერები. ქართველ კაცს ვაზი და სიმღერა შველოდა. ახლაც ასეა.

ქართველებო და აფხაზებო! მოდით, ენგურის ხიდისთავს ერთად მივაშუროთ, — პირობა შევკრათ, ჩვენი ისტორიული ძმობა განვაახლოთ, შევრიგდეთ და ერთმანეთს კი არ მივუხტეთ, არამედ ერთად აღვადგინოთ ჩვენი საერთო სახლი! ხიდი და ხიდისთავი, ცხინვალის მიმართულებითაც მოიძებნება, — დროს ნუ ვკარგავთ!

**ზაურ კვარაცხელია,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

**P. S. დევნილთა ყრილობის მომწყობი საინიციატივო ჯგუფი ზაურ ბედია (ჯგუფის ხელმძღვანელი, ქ. სოხუმი), როლანდ კაკულია, სოხუმი, მერაბ ჯიქია, — ქ. გაგრა, თემურ გოგოხია, ქ. გაგრა, ზაურ ჯიქია, ოჩამჩირის რ-ნი; რეზო ქობალია, ოჩამჩირის რ-ნი; დიმიტრი ომანაძე, სოხუმის რ-ნი; ნიკოლოზ ზარანდია, სოხუმის რ-ნი; ლორა გადელია, გულრიფშის რ-ნი; მიშა ჭანტურია, გალის რ-ნი; ალეკო ლაგვილავა, ქ. სოხუმი; რობერტ მამისაშვილი ქ. ცხინვალი. გულნაზ გულუა, გალის რ-ნი, გაეცნო რა ბ-ნ ზაურ კვარაცხელიას ჯერ გამოუქვეყნებელ წერილს, — „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი!“ — იწონებს მას და მხარს უჭერს იმ საქმიან წინადადებას, რომლებიც მან განსახილველად შემოგვთავაზა. ვიმედოვნებთ, ჩვენი ინიციატივა, აზრთა გაზიარების მიზნით შევხვდეთ ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს და აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რეაგირების გარეშე არ დარჩება.**

**ზ. კ.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლა გადაიდო

**საქართველოში საპარლამენტო უმრავლესობამ გაურკვეველი დროით გადადო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა. ის უნდა გამართულიყო პარასკევს უკანასკნელად პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის პერიოდში.**

„ჩვენ პატივს ვცემთ კონსტიტუციას, პატივს ვცემთ ყველა ინსტიტუტს, რომლებიც გათვალისწინებული არიან საქართველოს კონსტიტუციით, მათ შორის პრეზიდენტის უფლებებსაც, მაგრამ ამავე დროს ჩვენ პატივს ვცემთ საკუთარ თავსაც და გვსურს, რომ პრეზიდენტი გამოვიდეს პარლამენტში, რომელსაც აქვს შესაბამისი უფლებამოსილებანი და არა ადამიანთა მარტივ გაერთიანებაში, რომელთა გადაწყვეტილებებიც პრეზიდენტმა შეიძლება შეცვალოს ერთპიროვნულად“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებას, გადადონ სააკაშვილის გამოსვლა, წინ უსწრებდა პოლიტიკური დებატები, რომლებიც გაიმართა პარლამენტში წინა დღით და შეეხებოდა პრეზიდენტის უფლებამოსილებებს მთავრობის დათხოვნასა და ჩამოყალიბების პროცესში.

### უპრეცედენტო გადაწყვეტილება

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა, რომლებიც ოპოზიციაში პარლამენტის არჩევნების შემდეგ აღმოჩნდნენ, განაცხადეს, რომ პრეზიდენტი მზად იყო პარლამენტში გამოსასვლელად და ეპასუხა დეპუტატების შეკითხვებზე.

„ანალოგიური მზადყოფნა იყო და არის საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან... ჩვენ მზად ვიყავით დებატებისთვის და მზად ვართ კიდევ ერთხელ აშკარად გამოვხატოთ საპარლამენტო უმცირესობის პოზიცია არსებულ აქტუალურ თემებზე, — განაცხადა დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ და პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ. — ძალიან სამწუხაროა, რომ პარლამენტის უმრავლესობამ უარი განაცხადა ამ ფორმატზე და რომ ჩვენი კოლეგები უმრავლესობიდან არ აღმოჩდნენ მზად იმისთვის, რომ მოესმინათ პრეზიდენტისთვის, არც საპარლამენტო პოლიტიკური დებატებისთვის“.

მიუხედავად საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებისა, საქართველოს პრეზიდენტი მიმართავს ხალხს და წარუდგენს დაგეგმილ ანგარიშს, განაცხადა პრეზიდენტის პრესმდივანმა მანანა მანჯგალაძემ.

მან დაუმატა, რომ სააკაშვილი მიმართავს საზოგადოებრიობას არა პარლამენტის შენობიდან ქუთაისში, არამედ ეროვნული ბიბლიოთეკის შენობიდან.

### კრიზისის საფრთხე

ექსპერტები და პოლიტიკური ოპონენტები ხშირად აკრიტიკებდნენ პრეზიდენტ სააკაშვილს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებისთვის. ახლა კრიტიკას იწვევს ახალი უმრავლესობის სურვილი, შეიტანოს ცვლილებები კონსტიტუციაში.

იმ დროს, როდესაც პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შემცირებას ექსპერტები აფასებენ დადებითად, მათი სიტყვებით, საქართველოს კონსტიტუციას ესაჭიროება უფრო სერიოზული და არსებითი ცვლილებები.

ინიცირებული კანონპროექტის მომხრეები აცხადებენ, რომ საქართველოში უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში არსებობს „კონსტიტუციის მიერ დაკანონებული დიქტატურა“, და ასეთი ცვლილებები თავიდან აგვაცილებს შესაძლო პოლიტიკურ კრიზისს ქვეყანაში.

შარშანდელი პარლამენტის არჩევნებამდე ნორმა, რომელიც უფლებას აძლევს პრეზიდენტს, დანიშნოს მისთვის სასურველი მთავრობა პარლამენტთან შეუთანხმებლად, არ ქმნიდა კრიზისის საფრთხეს, ვინაიდან უმრავლესობა პარლამენტში ეკუთვნოდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, აღნიშნავს დეპუტატი საპარლამენტო უმრავლესობიდან ვახტანგ ხმალაძე.

„დღეს სავსებით შესაძლებელია სიტუაცია, როდესაც პრეზიდენტი დაითხოვს მთავრობას, რის შემდეგაც მან უნდა წარადგინოს მისთვის სასურველი მთავრობის შემადგენლობა, რომელსაც დიდი ალბათობით, პარლამენტი მხარს არ დაუჭერს. თუ სამჯერ წარდგენილ მთავრობას სამჯერვე არ დაუჭერს მხარს პარლამენტი, მაშინ პრეზიდენტი ღებულობს უფლებას, დანიშნოს ის მთავრობა, რომელიც მას სურს, — ამბობს ხმალაძე. — ეს პროცედურა შეიძლება გაგრძელდეს დაახლოებით 25 დღე, ესე იგი, ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ქვეყანაში იქნება მთავრობა, რომელსაც არ ექნება პარლამენტის ნდობა“.

ასეთი შედეგი მიგვიყვანს ქვეყანაში პოლიტიკურ კრიზისთან და დესტაბილიზაციასთან, ამბობს ხმალაძე. ამავე დროს, მისი სიტყვებით, კანონპროექტის ავტორები წავიდნენ „მინიმალურ ცვლილებათა“ გზით — დაუტოვონ პრეზიდენტს უფლება, დაითხოვოს მთავრობა.

### ვაჭრობა უადგილოა

დეპუტატებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ არ ესმით, თუ რისთვისაა საჭირო ასეთი შესწორებები. მათი სიტყვებით, ეს საკითხი ისედაც გადაწყდება პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ მიმდინარე წლის ოქტომბერში კონსტიტუციის ცვლილებების ძალაში შესვლასთან ერთად, რომლებიც მიიღეს ჯერ კიდევ 2010 წელს და რომლებიც ზღუდავენ პრეზიდენტის უფლებამოსილებებს.

ამას გარდა, ოპოზიციური დეპუტატების სიტყვებით, არ არსებობს არანაირი საფრთხე პოლიტიკური კრიზისისა პრეზიდენტის მხრიდან, რომელმაც აშკარად გვაგრძნობინა, რომ არ აპირებს შეუქმნას ხელოვნური პრობლემები და შეუშალოს ხელი მუშაობაში ბიძინა ივანიშვილის მთავრობას.

მიუხედავად ამისა, ოპოზიციამ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს ინიციირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს იმ პირობით, თუ ისინი მოგვცემენ საქართველოს ევროპული კურსის უცვლელობის გარანტიას და გაიზრდება საკონსტიტუციო მინიმუმი, რაც აუცილებელია კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად.

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მის კოალიციას არ აქვს განზრახული „ივაჭროს“ ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან ამასთან დაკავშირებით.

BBC RUSSIAN.com

## ჩვენი გალაქტიკა

# დედამიწის მსგავსი პლანეტა ახლოსაა

**უახლოესი**, ცხოვრებისთვის ხელსაყრელი, დედამიწის მოცულობის პლანეტა შეიძლება იმყოფებოდეს ჩვენგან მხოლოდ 13 სინათლის წლის მანძილზე, ნათქვამია გამოკვლევაში, რომლის შედეგებიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „ასტროფიზიკალ ჯორნელში“.

ისეთი წითელი ჯუჯა კლასის პატარა ვარსკვლავების მონაცემების ანალიზმა, რომლებიც შეადგენენ ვარსკვლავების დიდ ნაწილს ჩვენ გალაქტიკაში, აჩვენა, რომ 6 პროცენტს მათგან აქვთ ამგვარი პლანეტები.

გამოკვლევის ერთ-ერთმა ავტორმა დევიდ შარბონომ ჰარვარდის უნივერსიტეტიდან თქვა, რომ გამოკვლევის შედეგები დაგვეხმარება დედამიწის გარეშე სიცოცხლის ძებნაში.

„ახლა ჩვენ ვიცით იმ პლანეტების არსებობის ალბათობა, რომლებიც გამოსადეგია სიცოცხლისთვის და ისინი განლაგებული არიან ყველაზე გავრცელებული ვარსკვლავების გარშემო ჩვენს გალაქტიკაში.

უკანასკნელ პერიოდში ნადირობამ ეგზოპლანეტებზე ჯერ არარსებულ დონეს მიაღწია. სიცოცხლისთვის ხელსაყრელი პლანეტების ძიებაში ყველაზე მეტი წარმატებები აქვს ტელესკოპ „კეპლერს“ — „ნასას“ ასტრონომიულ თანამგზავრს, რომელიც გათვალისწინებულია დედამიწის მსგავსი ციური სხეულების ძიებისთვის. ის სწავლობს ცის მონაკვეთს, რომელიც მოიცავს 150 ათასზე მეტ ვარსკვლავს და აღნიშნავს სიმკვეთრის დამახასიათებელ შესუსტებას, რაც წარმოიქმნება, როდესაც თავიანთ ორბიტაზე მოძრავი პლანეტები ეფარებიან ვარსკვლავს, და ხვდებიან ტელესკოპის მხედველობის არეში.

„ნასას“ კატალოგში 800-ზე მეტი ეგზოპლანეტაა, რომელთა უმრავლესობაც აღმოჩენილია ტრანზიტული მეთოდით. ამ მეთოდს საფუძვლად უდევს თვალყურის დევნება პლანეტის მოძრაობაზე ვარსკვლავის ფონზე. ის საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მოცულობები, დოპლერის მეთოდთან შეხამებაში კი — პლანეტების სიმკვრივეც.

მაგრამ აღმოჩენილი ეგზოპლანეტები უზარმაზარი აისბერგის მხოლოდ ზედაპირია. გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სხვა მეთოდების გამოყენების დროს, დაადგინეს, რომ ყოველი ვარსკვლავის გარშემო ბრუნავს საშუალოდ 1,6 პლანეტა.

მაგრამ მთავარი მიზანი ყოველთვის იყო ისეთი პლანეტების ძიება, რომლებიც ჰგვანან დედამიწას. იმ მეთოდის ძიება, რომელ-



საც იყენებენ ეგზოპლანეტების აღმოსაჩენად, საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ მხოლოდ ყველაზე დიდი პლანეტები, და პლანეტების უმრავლესობა კატალოგში გაცილებით აჭარბებს დედამიწას.

### წითელი ჯუჯები

სხვათა შორის, ბევრია ისეთი პლანეტაც, რომელთა მოცულობაც უპირისპირდება ჩვენი პლანეტის მოცულობას. ამასწინანდელმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ყოველ მეექვსე ვარსკვლავს აქვს ისეთი მოცულობის პლანეტა, რომელიც საკმაოდ ახლოსაა ვარსკვლავის ორბიტასთან. ეს კი ნიშნავს, რომ მხოლოდ ჩვენს გალაქტიკაში დაახლოებით 17 მილიარდი ასეთი პლანეტაა.

არცთუ დიდად დაშორებული ვარსკვლავებიდან ორბიტები გამოირჩევიან მაღალი ტემპერატურით, ამიტომ მეცნიერებს აინტერესებთ ისეთი პლანეტები, რომლებიც ვარსკვლავებიდან იმყოფებიან ისეთ მანძილზე, რაც საშუალებას იძლევა, ვიქონიოთ ეჭვი, რომ მათზე არის წყალი თხევად მდგომარეობაში. საჭიროა, რომ პლანეტები იყვნენ განლაგებული არც ისე ძალიან შორს ვარსკვლავებიდან, რომ ეს წყალი არ იყინებოდეს. პლანეტების არსებობას მკაცრად განსაზღვრულ მანძილზე ვარსკვლავიდან, რაც მათ ხელსაყრელს ხდის სიცოცხლისთვის, უწოდებენ დასახლების ზონას.

მკვლევარებმა, რომლებმაც გვაცნობეს აღმოჩენის შესახებ, ყურადღება გაამახვილეს იმ პლანეტებზე, რომლებიც თავისი მოცულობით ახლოს არიან დედამიწასთან, სიცოცხლისუნარიანი ვარსკვლავების ზონებში — წითელ ჯუჯებში, რომლებიც გაცილებით უფრო პატარები და ცივები არიან, ვიდრე მზე. ეს კი ნიშნავს, რომ ყოფიერების ზონა მათ უფრო ახლოს აქვთ, ვიდრე დედამიწას მზესთან დამოკიდებულებაში.

ასტრონომებმა ჰარვარდ-სმიტსონიანის ასტროფიზიკური ცენტრიდან ტელესკოპ „კეპლერის“ მონაცემები გამოიყენეს, რათა მოენახათ წითელი ჯუჯები, რომლებსაც ექნებოდათ მსგავსი პლანეტები.

წითელ ჯუჯებად ჩვენს გალაქტიკაში ითვლება ყველა ვარსკვლავის ორი მესამედი. უფრო ძველ გალაქტიკებს ისინი უფრო მეტი აქვთ.

მკვლევარებმა წითელი ჯუჯების ირგვლივ აღმოაჩინეს 95 პლანეტა. მათგან 60 პროცენტი უფრო პატარაა მოცულობით, ვიდრე ნეპტუნი.

მაგრამ მონაცემების ანალიზმა გამოავლინა, რომ სამ პლანეტას აქვს ტემპერატურა, რაც ხელსაყრელია სიცოცხლისთვის და მოცულობები, რომლებიც შეესაბამებიან დედამიწისას.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**დაასახელეს მსოფლიოში ყველაზე საშიში დასახლებული პუნქტები**

ქალაქი სან-პედრო-სულა ჰონდურასში მეორე წელია ზედიზედ აღიარეს დედამიწის ყველაზე სახიფათო დასახლებულ პუნქტად 169 მკვლელობით ყოველ 100 ათას მოსახლეზე. მეორე ადგილი 50 ყველაზე სახიფათო ქალაქების სიაში უკავია მექსიკის კურორტ აკაპულკოს. რეიტინგის მესამე ადგილი დაიკავა ვენესუელის დედაქალაქმა კარაკასმა.

* * *

**აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უახლოვდება თოვლის ქარიშხალი: გადაიდო ასობით ავიარეისი**



მეტეოროლოგები გვაფრთხილებენ, რომ შეიძლება მოვიდეს დაახლოებით 60 სანტიმეტრი თოვლი. უკანასკნელი ასეთი ძლიერი თოვლი შეინიშნებოდა ახალი ინგლისის შტატებში 1978 წლის თებერვალში. ნიუ-იორკის მერმა მოუწოდა ქალაქის მცხოვრებლებს, შეძლებისდაგვარად, არ გამოვიდნენ სახლიდან პარასკევსა და შაბათს. პარასკევს ბოსტონში ყველა სკოლა დაიკეტება.

* * *

**მალიში ბოევიკები დივერსიულ ომზე გადავიდნენ: ნაღმზე აფეთქდა მთავრობის არმიის მანქანა**



დაიღუპა 4 სამხედრო მოსამსახურე. ბოევიკების გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ მათ „შექმნეს დაპირისპირების ახალი ფრონტი და მოამზადეს თვითმკვლელი ტერორისტები“. „ჩვენ მოვუწოდებთ მოქალაქეებს, არ გადაადგილდნენ ეროვნულ გზებზე“, გააფრთხილეს ისლამისტებმა.

* * *

**პირველი აზერბაიჯანული ტელეკომთანამგზავრი გაუშვეს კურუს კოსმოდრომიდან**

„აზერსპეის-1“-ის დროებითი პოზიცია გეოსტაციონარულ ორბიტაზე — აღმოსავლეთის განედის 46 გრადუსი — მალაიზიელი ოპერატორისგან არის იჯარით აღებული. აპარატი აიგო ბაქოს შეკვეთით ამერიკის შეერთებულ შტატში. აზერბაიჯანულ ამ თანამგზავრთან ერთად იმ ღამეს გაუშვეს აგრეთვე ესპანური თანამგზავრი „ამაზონა-4“.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# გმირი არტილერისტი

## სტალინგრადის ბრძოლების დასრულების 70 წლისთავი

**70 წლის** წინათ დამთავრდა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული სტალინგრადის ბრძოლა, რომლის მსგავსიც კაცობრიობის ისტორიამ არ იცის. ბრძოლა სტალინგრადთან — მსოფლიო ისტორიის ყველაზე ცნობილი შეტაკებაა, რომელიც მასშტაბებითა და დანაკარგებით დიდ ომს შეიძლება შევადაროთ. როგორც კონსტანტინ სიმონოვმა მხატვრულად შენიშნა, „სტალინგრადის ხმა, გამოუსწორებელი, გაბზარული გერმანული მანქანის ის ლაწალუწი გაიგონა მთელმა მსოფლიომ, რომელიც ფარული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ვოლგაზე უდიდესი ბრძოლის შედეგებს, ევედრებოდა უფალს რუსი ჯარისკაცების გამარჯვების შესახებ!“

200 დღე და ღამე გრძელდებოდა სტალინგრადის გმირული ეპოპეა, რომელიც ორი ოპერაციისგან შედგებოდა: თავდაცვითი — 1942 წლის 17 ივლისიდან 18 ნოემბრამდე და შეტევითი — 1942 წლის 19 ნოემბრიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე. ამ გრანდიოზულ ბრძოლაში ორ მილიონზე მეტი კაცი მონაწილეობდა შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის კოლოსალური ოდენობის გამოყენებით. მტერმა მაშინ სტალინგრადის ბრძოლაში დაკარგა ყოველი მეოთხე (!) ჯარისკაცი, რომელიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იბრძოდა...

1941 წლის 23 ივნისს ქ.თბილისის მაშინდელი ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისრის სახელზე შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრიადოსან სტუდენტთა ჯგუფის წერილი, რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით: „... გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში სამშობლოს დაცვის ჩვენი დიდი სურვილი და პატრიოტული გრძნობა და გაგვიწვიოთ წითელ არმიაში, როგორც მოხალისეები“. ამ განცხადებას მელქისედეკ — (მეგობრები და ახლობლები მას სიყვარულით მელქოს ეძახდნენ) წერეთელთან ერთად ხელს აწერდა მისი ხუთი თანაკურსელი ეკონომიკური ფაკულტეტიდან — ჰასან მახარაძე, შოთა მელაძე, სერგო აბულაძე, აკაკი ქვარცავა და სერგო შამუგია.

და აი, რამდენიმე დღის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები არმიაში გაიწვიეს, ისევე როგორც ასობით და ათასობით ჩვენი თანამემამულე. იმ დროს ფრონტზე საკადრო ჯარებში უკვე იბრძოდა მელქო წერეთლის ორი ძმა — შოთა და სიმონი. მხოლოდ ომის ბოლოს — ახლობლები მელქოს ამას უმალავდნენ — გაიგო მან საშინელი ამბავი ძმების გმირული დაღუპვის შესახებ. შოთა ომის დასაწყისში ბრესტის ციხის დაცვის დროს დაიღუპა, სიმონი — ბალტიისპირეთში.

მელქისედეკ წერეთელი ბაქოს საარტილერიო სასწავლებელში გაგზავნეს, რომლის დამთავრების შემდეგ მას ლეიტანანტის წოდება მიანიჭეს. ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი გაგზავნეს სტალინგრადის რაიონში, მისი თავდაცვის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე, როდესაც უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის ბრძანებით შეიქმნა სტალინგრადის ფრონტი, რაც 520 კილომეტრზე იყო გადაჭიმული. 1942 წლის 17 ივლისს ფაშისტები შეტევაზე გადმოვიდნენ, რისთვისაც დიდ ძალებს მოუყარეს თავი. ვერმახტის დამკვრელ ძალას გენერალ-პოლკოვნიკ ფრიდრიხ პაულიუსის მე-6 არმია შეადგენდა. სწორედ პაულიუსი იყო გეგმა „ბარბაროსას“ ერთ-ერთი მთავარი შემდგენელი. მათ მხარს უჭერდა მე-4 საჰაერო ფლოტის ავიაცია — 1200-მდე თვითმფრინავი. ფაშისტები მაშინ დიდად სჭარბობდნენ მტრის ჯარებს სტალინგრადის ფრონტის თავდაცვის ხაზზე როგორც ცოცხალი ძალით, ისე შეიარაღებით, საბრძოლო ტექნიკით.

მე-3 საზენიტო-საარტილერიო ოცეულის მეთაური მელქისედეკ წერეთელი უმალვე მოხვდა გააფთრებულ შეტაკებათა ცენტრში. მისი ოცეული, დივიზიონის სხვა ნაწილებთან ერთად, იმ დროისთვის ბეკეტოვსკის სარკინიგზო სადგურის რაიონში ( სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთში, 8-10 კილომეტრში) იმყოფებოდა. სადგურის მახლობლად იყო სამხედრო აეროდრომი, რომელსაც ლეიტენანტ წერეთლის მეზენიტეები იცავდნენ.

როდესაც ერთ-ერთი შემოფრენის შემდეგ „იუნკერსები“ წავიდნენ, ლეიტენანტმა წერეთელმა თავიდან მიწა გადაიყარა და ბინოკლში გაიხედა. ასეც იყო — წინ გამოჩდნენ ფაშისტების ტანკები, რომლებმაც შეძლეს, გაერღვიათ საბჭოთა ჯარების პოზიციები და დაუბრკოლებლად მოიწევდნენ წინ. ისინი მოდიოდნენ მშვიდად, მუქარით, ეჭვიც არ ეპარებოდათ, თუ სულ ახლოს ჩასაფრება ელოდათ. მელქისედეკ წერეთელმა უმალ შეაფასა კრიტიკული სიტუაცია, კვამლის სვეტის მიღმა, რაც დაბომბვის დროს წარმოიქმნა, მოასწრო თავის მებრძოლებთან ერთად დაბლა დაეწიათ საზენიტო ქვემეხები და ხელსაყრელი მომენტის შერჩევით პირდაპირი ცეცხლი გაეხსნათ მტრისთვის, ერთბაშად აკიაფდა სამი ფოლადის ჩირაღდანი. კიდევ ზალპი, და ადგილზე გაიყინა კიდევ სამი მანქანა. საუცხოოდ მოქმედებდნენ ჩვენი მეჯავშანგამტანები.

არც მელქისედეკ წერეთელმა, არც მისმა ხელქვეითებმა არ იცოდნენ, რომ ბეკეტოვკასთან პლაცდარმის გაფართოება იყო ჰიტლერელთა დიდი შეტევის ნაწილი, რომლის დროსაც მათ იმედი ჰქონდათ — გაერღვიათ 62-ე არმიის ჯარების თავდაცვის ხაზი და გასულიყვნენ უკან დახეული ჯარების ზურგსუკან პირდაპირ ვოლგაზე.

მთელი ცხოვრება ახსოვდა მას ბრძანება, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც ი.ბ.სტალინის № 227 ბრძანება: „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ მას ხელი მოეწერა 1942 წლის 28 ივლისს, როდესაც კლაისტის ტანკები და პაულიუსის გრენადერები სტალინგრადისკენ მიიწევდნენ. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ გაიგზავნა ყველა სამხედრო ნაწილში. ბრძოლებს შორის მცირეოდენი შესვენებების დროს იმ პოლკის უფროსმა, რომელშიც შედიოდა მელქისედეკ წერეთლის ოცეულიც, წაიკითხა იგი მკაცრი და ამაღელვებელი ხმით. ამ მკაცრმა დოკუმენტმა თავისი სულისკვეთებით, პატრიოტული შინაარსის სიღრმით, ემოციური დაძაბულობის ხარისხით სტალინგრადის დამცველებზე დაუვიწყარი და წარუშლელი კვალი დატოვა...



მორიგი შეტევა სტალინგრადზე მე-6 და მე-4 სატანკო არმიების ძალებით მტერმა 19 აგვისტოს დაიწყო. ქალაქის მისადგომებთან გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები. 23 აგვისტოს დაიწყო ქალაქზე ფაშისტური სვავების დღემდე უნახავი მასირებული შეტევები ჰაერიდან. მძიმე დღეები ედგათ იმ დღეებში მეზენიტეებს. ბრძოლის სიმწვავე ზღვარს აღწევდა, საზენიტო ქვემეხების ლულები სროლისგან ხურდებოდა. ბრძოლა, როგორც ამბობენ ხოლმე, უხდებოდათ ორ ფრონტზე — ჩამოეგდოთ მტრის თვითმფრინავები, შემდეგ კი პირდაპირი ცეცხლით საზენიტო ქვემეხებიდან გაენადგურებინათ ყოველი მხრიდან შემოსული ტანკები. მიწა ზანზარებდა, ჰაერის მკვრივი ტალღა ყურებს გიხშობდა. ხშირი მთლიანი კვამლის გამო ცეცხლის კორექტირება, რასაკვირველია, თითქმის შეუძლებელი იყო, თუმცა მეზენიტეებს ეჭვიც არ ეპარებოდათ თავიანთ სიზუსტეში. მახლობლად აფეთქებულმა ბომბმა ცოცხლად „დამარხა“ ლეიტენანტი წერეთელი. საბედნიეროდ, ეს შენიშნა ერთ-ერთმა მებრძოლმა და სხვებთან ერთად თავისი მეთაური მიწიდან ამოიყვანა. მოგვიანებით, სტალინგრადის მახლობლად, წერეთელი კვლავ ჩაიმარხა ორმოში მიწის სქელი ფენის ქვეშ. მისმა მეომრებმა აქაც გადაარჩინეს.



მელქისედეკ წერეთელი

ბრძოლების დაძაბულობა დღითი დღე ძლიერდებოდა. მაგალითად, სექტემბერში სამეთვალყურეო პუნქტი, რომელზეც იმყოფებოდნენ მელქისედეკ წერეთელი და მისი მებრძოლები, მტრის ალყაში აღმოჩნდა. მაშინ ქართველმა ოფიცერმა მიიღო გადაწყვეტილება — გაერღვიათ ალყა და გაეღწიათ თავიანთებთან ბატარეაში. წინ იყო რამდენიმე კილომეტრი უცნობ გარემოში. ლეიტენანტმა რიგში დააყენა მებრძოლები და აუხსნა ამოცანა. თავად ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარებით უკნიდან იფარავდა რაზმს. მოსაღამოვდა. სიბნელეში გაიგონეს გერმანული ლაპარაკი, სროლების ხმა. დაიწყო ბრძოლა. ათობით ჰიტლერელი გაანადგურეს, დაეცნენ მისი ჯარისკაცებიც. ბრძოლის შემდეგ ბედისწერით გადარჩნენ მხოლოდ წერეთელი, მისი მოადგილე და ტელეფონისტი. ძლივს მიაღწიეს ბატარეამდე, სადაც მათ შეხვდნენ დივიზიის მზვერავები და გაიყვანეს ისინი საცეცხლე პოზიციაზე.

ქართველმა ოფიცერმა დივიზიონის მეთაურს მოახსენა, თუ სად დააფიქსირეს მათ მტრის ქვედანაყოფები, როგორ ჩაერთვნენ ბრძოლაში ფაშისტებთან. იმ დღეებში დივიზიონში მისულმა სტალინგრადის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სარდალმა, გენერალ-მაიორმა რაინინმა, როდესაც მომხდარის შესახებ გაიგო, დიდი მადლობა გადაუხადა მამაც ოფიცერს და დანიშნა იგი საცეცხლე ოცეულის მეთაურად. წერეთლისა და მისი მებრძოლების მამაცობისა და მოსაზრებულობის წყალობით წითელარმიელებმა ავიაციისა და ტანკების მხარდაჭერით იმ მონაკვეთზე გაანადგურეს მტერი, არ მისცეს მას საშუალება, წარმატებით განეხორციელებინა წინსვლა.

უჭირდათ მეზენიტეებს. ბევრი მათგანი ფრონტის სხვა ნაწილებში გადაიყვანეს, სადაც გერმანელებმა შეძლეს გაერღვიათ ჩვენი დაცვა და შეჭრილიყვნენ საბჭოთა ნაწილების სიღრმეში. ბატარეაში მამაკაცების სანაცვლოდ დაახლოებით ასი გოგონა მოვიდა, რომელთა შორისაც იყო ქართველი ლილი მაისურაძე. ყველა მათგანმა მძიმე და რთულ ვითარებაში გამძლეობისა და სიმამაცის სასწაულები აჩვენა.

... 1942 წლის 19 ნოემბერს დაიწყო ჩვენი ჯარების გადამწყვეტი შეტევა, რომელიც მტრის უზარმაზარი დაჯგუფების განადგურებით დამთავრდა. ფაშისტებმა მაინც ვერ შეძლეს, შეჭრილიყვნენ ჩვენი ჯარების განლაგებაში სადგურ ბეკეტოვსკის რაიონში, გაენადგურებინათ საბჭოთა აეროდრომი. ამ აეროდრომიდან გამანადგურებლები და მოიერიშეები მძიმე დარტყმებს აყენებდნენ ფაშისტთა ჯარებს.

უფროსი ლეიტენანტი მელქისედეკ წერეთელი გერმანელების სრულ განადგურებამდე იბრძოდა. 1943 წლის 2 თებერვალს უკანასკნელად გაისმა ვოლგაზე ბრძოლის ბათქები.

... მელქისედეკ ალექსანდრეს ძე წერეთელმა ნათელი ცხოვრებით იცხოვრა. მრავალი წლის განმავლობაში ის იყო საქართველოს უმაღლესი პარტიული ორგანოს მმართველის მოადგილე. გარდაიცვალა 90-იანი წლების ბოლოს. მაშინ ის 80 წლისა იყო. მელქისედეკ წერეთელი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც სიცოცხლის ბოლომდე იყო წესიერების, პატიოსნებისა და მორიდებულობის ნიმუში.

ჩვენ ვისაუბრეთ სტალინგრადის ბრძოლის ერთ გმირ მონაწილეზე, არადა ვოლგაზე გრანდიოზულ შეტაკებაში საქართველოდან ათასობით ჩვენი თანამემამულე იღებდა მონაწილეობას. სტალინგრადისთვის გმირულად იბრძოდა მსროლელთა კორპუსი პოდპოლკოვნიკ **მ.დიასამიძის** მეთაურობით, მას მამაცობისა და თავდადებისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მის შესახებ წერდა მაშინ ნიკოლაი ტიხონოვი: „ოსტატები იყვნენ ძველი ქართული ეპოსის გმირები, მაგრამ მათ არ ჩამორჩება დიასამიძე... მკვდარ გზად აქცია დიასამიძემ გერმანელ ბატალიონთა გზა, გადამწვარი ტანკებით, როგორც ჩირაღდნებით, შემორკალა მან ეს გზა“.

გმირ მფრინავზე **ჭიჭიკო ბენდელიანზე,** რომელმაც სახელი გაითქვა სტალინგრადის ცაზე, შექმნილ სიმღერას მთელი საქართველო მღეროდა. მასთან ერთად სტალინგრადის ბრძოლაში თავი ისახელეს ქართველმა მფრინავებმა **ნ.აბრამიშვილმა, ბ.ზუმბულიძემ, დ. თავაძემ, ზ.ხიტალიშვილმა,** ქართველმა მფრინავმა ქალებმა — **თ.მელაშვილმა, ი.ოსაძემ, გ.ტურაბელიძემ.**

სტალინგრადელთა შორის ლეგენდები დადიოდა მოზრის 234-ე გამანადგურებელი ავიადივიზიის მეთაურ **ესტატე ტატანაშვილზე,** რომელმაც ეს თანამდებობა მიიღო 1942 წლის 18 სექტემბერს და გენერალი გახდა სტალინგრადის ბრძოლის დამთავრების მეორე დღეს. სწორედ მის დივიზიაში იმყოფებოდა მაშინ იოსებ სტალინის შვილი ვასილ სტალინი — ავიაციის ნამდვილი ასი, რომელიც იმ დროს ხშირად დაფრინავდა ვასილიევის გვარით. როგორც სტალინგრადისთვის ბრძოლის აქტიური მონაწილე, მე-15 მსროლელთა დივიზიის, მაშინ ჯერ კიდევ პოლკოვნიკი ნიკოლოზ კალაძე იგონებდა, როდესაც ცაში აიჭრებოდა ხოლმე ორი ქართველი შევარდენი — ესტატე ტატანაშვილი და ვასილ სტალინი — მათ საჰაერო ბრძოლებში ტოლი არ ჰყავდათ. სხვათა შორის ეს ფაქტი ნაკლებად არის ცნობილი!

ამ გრანდიოზული ბრძოლის აქტიური მონაწილეები იყვნენ ლეგენდარული მფრინავები, საბჭოთა კავშირის გმირი, მაშინ ავიაციის გენერალ-მაიორი, მე-18 საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე **ვლადიმერ ნანეიშვილი** და ავიადივიზიის მეთაური, მაშინ პოლკოვნიკი **შალვა ჭანკოტაძე**. 1944 წელს ორივე მათგანმა მიიღო ახალი სამხედრო წოდება: პირველმა — გენერალ-ლეიტენანტისა, მეორემ — გენერალ-მაიორისა.

უჭკნობი დიდება მოიპოვეს 51-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის მებრძოლებმა უშიშარი მეთაურის **ნიკოლოზ თავართქილაძის** მეთაურობით, რომელმაც გენერალ-მაიორის წოდება მიიღო 1942 წლის 28 ნოემბერს, როდესაც მისი დივიზია პაულიუსის გრენადერებს ანადგურებდა. უფრო ადრე — იმავე წლის 14 მარტს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა მსროლელთა დივიზიის მამაც მეთაურს **კირილე ჯახუას,** ვისი სამი მებრძოლიც საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. დივიზიის მებრძოლმა მეთაურმა ომი ათი საბრძოლო ორდენით, მათ შორის სარდლის ჯილდოთი დაასრულა.

სტალინგრადისთვის ბრძოლაში სახელი გაითქვა მსროლელი კორპუსის პოლიტგანყოფილების უფროსმა **მიხეილ ჩიქოვანმა,** განსაკუთრებით სოფელ კოტელნიკოვოს რაიონში. კორპუსი თითქმის სამჯერ შეივსო ახალწვეულებით, ისეთი საშინელი იყო მის მებრძოლთა დანაკარგები. პირადად მიჰყავდა შეტევაზე პოლკი პოლკის კომისარს **ვარლამ ჯანჯღავას,** როდესაც ერთ-ერთ გააფთრებულ ბრძოლაში დაიღუპნენ პოლკის მეთაური, შტაბის უფროსი და სხვა უფროსი ოფიცრები. იმ ბრძოლებში 17 მეომარი გადარჩა. ასეთი იყო სტალინგრადის მიწის ყოველი გოჯის ფასი.

სტალინგრადისთვის ბრძოლაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ამ დიდი ომის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ქართველი გმირის გენერალ **პორფილე ჩანჩიბაძის** სარდლური ნიჭი. მისი მე-13 გვარდიული მსროლელთა კორპუსი ერთ-ერთი საუკეთესო იყო სტალინგრადისთვის ბრძოლაში, რაც აღნიშნა თავად საბჭოთა კავშირის მარშალმა ა.ვასილევსკიმ. პორფილე ჩანჩიბაძემ ომი პრუსიელთა ციტადელში კენინგსბერგში დაასრულა, სადაც 1945 წლის 9 მაისს წაიკითხა აქტი გერმანიის კაპიტულაციის შესახებ. საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი, მე-2 გვარდიული არმიის სარდალი, გენერალ პოლკოვნიკი პ.გ.ჩანჩიბაძე გარდაიცვალა 1950 წლის 14 მარტს და დაკრძალეს მოსკოვში ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

სახელგანთქმული „პავლოვის სახლის“ დამცველთა შორის (სტალინგრადის ერთ-ერთ მოედანზე) იყვნენ ჩვენი სახელოვანი თანამემამულენიც: ქართველები **მოსიაშვილი, სტეფანიშვილი** და აფხაზი **ცუგბა.**

შეუძლებელია ამ სტატიაში სტალინგრადის ბრძოლის ყველა ქართველი მონაწილის ჩამოთვლა, რისი ექოც გვესმის დღესაც. მაგალითად, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით სსრ კავშირის გზათა მინისტრის მაშინდელი მოადგილის **ი.დ.გოცირიძის** გმირული საქმეების შესახებ, რომელმაც ი.ბ.სტალინის ბრძანებით მოახდინა სარკინიგზო ჯარების ჩვეულებრივ მსროლელ ქვედანაყოფებად გადაპროფილირება და განუშორებლად იყო მათთან სტალინგრადისთვის ბრძოლის დამთავრებამდე...

1943 წლის 2 თებერვალს დამთავრდა სტალინგრადის ბრძოლა. მტრის საერთო დანაკარგებმა შეადგინა დაახლოებით 1.500.000 კაცი, ორი ათასამდე ტანკი და 10 ათასზე მეტი ქვემეხი, დაახლოებით 3 ათასი თვითმფრინავი. მთელს გერმანიაში მრავალდღიანი გლოვა გამოცხადდა...

ი.ბ.სტალინისთვის სტალინგრადთან გამარჯვება იყო უზარმაზარი პირადი გამარჯვებაც. მარშალი კ. როკოსოვსკი, რომელიც პაულიუსის დაჯგუფების ლიკვიდაციას ხელმძღვანელობდა, მოსკოვში გამოიძახეს. ის იხსენებდა, თუ როგორ შეხვდა მას სტალინი: „სტალინი კი არ აჩქარებულა, კი არ მოუმატებია ნაბიჯისთვის, არამედ გამოიქცა... სირბილით მოვიდა ჩემთან ახლოს, ჩაავლო ჩემს ხელს ორივე ხელი, მომიჭირა და, გაღიმებულმა კავკასიური აქცენტით მითხრა: „კარგია, კარგია, შესანიშნავად გამოგივიდათ!“...

მარადიული დიდება სტალინგრადის გმირებს!

**ლევან დოლიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

კონტაქტები



## ლევან ყიფიანმა ბულგარეთის რესპუბლიკის ელჩი პლამენ ბონჩევი მიიღო

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ბულგარეთის რესპუბლიკის ელჩი პლამენ ლუბომიროვ ბონჩევი მიიღო. მინისტრმა და ელჩმა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობაზე ისაუბრეს.**

ლევან ყიფიანმა ბულგარეთის რესპუბლიკის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მინისტრი სვილენ ნეიკოვი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატის დროს მოიწვია, რომელიც 19-24 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება.

ბულგარეთის სპორტის მინისტრი ქართველ კოლეგასთან შეხვედრას გამართავს და მოჭიდავეთა ევროპირველობას დაესწრება, სადაც ბულგარელი მოჭიდავეებიც გამოვლენ. ლევან ყიფიანმა და პლამენ ბონჩევმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს და ახალგაზრდობის კუთხით გაცვლითი პროგრამების განხორციელებაზე შეთანხმდნენ.

ამასთან, საქართველოსა და ბულგარეთს შორის გაფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი ახალგაზრდობის და სპორტის მიმართულებით.

**გიორგი შოთაძე**

მეკლდეურობა



## ქართველი მეკლდეურის წარმატება აზერბაიჯანში

**აზერბაიჯანის სოფელ ლაზში გამართულ აზერბაიჯანის ღია პირველობაზე ყინულზე ცოცვაში წარმატებას მიაღწია ქართველმა სპორტსმენმა ნუკრი გველებიანმა.**

მან ყველა მეტოქეს აჯობა და ტურნირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ქართველი მეკლდეური ფინალისტებს შორის ერთადერთი იყო, ვინც ყინულის რთული კედლის ბოლომდე გავლა (დახურვა) მოახერხა.

ტურნირზე აზერბაიჯანის, რუსეთის, ირანის, უკრაინისა და საქართველოს გუნდები მონაწილეობდნენ (45 ვაჟი, 16 გოგონა). გველებიანთან ერთად აზერბაიჯანში მირზა ლიპარტელიანსაც უნდა ესპარეზა, თუმცა ტრავმის გამო მეორე ქართველმა მეკლდეურმა ეს ვერ შეძლო.

**მანუჩარ გიორგაძე**

სტუდენტური სპორტი

## ბაკურიანმა პირველ ეტაპს უმასპინძლა

**ბაკურიანში სტუდენტური სამთო-სათხილამურო ჩემპიონატის I ეტაპი გაიმართა . ტურნირი საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებითა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა.**

მისი გენერალური სპონსორია კომპანია „ბილაინი". ტურნირი სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთ სახეობაში „კროსში" მოეწყო. შეჯიბრებაში მონაწილეობა 20 უმაღლესი სასწავლებლის 30-მა ვაჟმა და 20-მა გოგონამ მიიღო.




ვაჟებს შორის პირველი ადგილი სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტმა კოტე ვახტანგიშვილმა მოიპოვა, მეორე და მესამე ადგილები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა - დავით თედიაშვილმა და ირაკლი კიკნაძემ დაიკავეს.

გოგონებში ჩემპიონი ზედიზედ მესამედ საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი მანანა წერეთელი გახდა. მეორე ადგილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა თეონა მელიქიშვილმა დაიკავა, მესამე ადგილზე კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ნინო ნაზღაიძე გავიდა.

ტურნირის II ეტაპს მარტის დასაწყისში გუდაური უმასპინძლებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

კალათბურთი

## „ოლიმპიაკოსი" საბერძნეთში პირველობას არავის უთმობს

**საბერძნეთის ჩემპიონატში ერთი შეხვედრა გაიმართა. მასში ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი მონაწილეობდა — „ოლიმპიაკოსმა" „იკაროსს" უმასპინძლა. როგორც ბერძნულ მითში, მზისკენ მიმავალ „იკაროსს" ცვილის ფრთები შემოადნა და ჩამოვარდა — 63:85.**



„ოლიმპიაკოსის" სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა გიორგი შერმადინი, რომელმაც, მართალია, მხოლოდ 12 წუთი ითამაშა, მაგრამ პირეოსელებს ღირებული დახმარება გაუწია. ეს სტატისტიკაში აისახა: 6 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება. გიორგიმ 5 ორქულიანი სტყორცნა და 3 ჩააგდო.

გამარჯვებულთაგან ყველაზე მეტი, 15 ქულა, პრინტეზისმა მოაგროვა.

„ოლიმპიაკოსს" საბერძნეთის ჩემპიონატში 15 მოგება აქვს (1 მარცხი) და სატურნირო ცხრილში პირველობას არავის უთმობს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ჩოგბურთი

## ხორვატებთანაც დავმარცხდით

**ეილათში (ისრაელი) ფედერაციის თასზე ევროაფრიკული ზონის პირველი ლიგის A და C ჯგუფებში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა.**



საქართველოს ნაკრები სტარტზე ავსტრიელთა მძლეველმა (2:1) ხორვატებმაც მშრალი ანგარიშით — 3:0 დაამარცხეს: მსოფლიო რეიტინგში 873-ე საფეხურზე მყოფმა 15 წლის ანა კონიუჰმა სოფიო ქვაცაბაიას (459-ე) 6:0, 6:0 მოუგო, 16 წლის დონა ვეკიჩმა (93-ე) მაკა ჩახნაშვილს (400) მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო — 6:0, 6:1, დარია ჯურაკისა და ტერეზა მრდეზას დუეტმა კი ეკა გორგოძისა და სოფიო შაფათავას ტანდემს აჯობა — 6:3, 6:2.

ჩვენს ჯგუფში ბელარუსმა ავსტრია დაამარცხა — 3:0. ასე რომ, დღეს ნახევარფინალის საგზურისთვის ბელარუსები და ხორვატები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, რომლებსაც ორ-ორი მოგება აქვთ. პირველ ლიგაში ვადამდე ადგილის შესანარჩუნებლად ქართველები და ავსტრიელები იბრძოლებენ.

**C ჯგუფში მე-2 ტურის პაექრობები ასე დამთავრდა:** თურქეთი-პოლონეთი 0:2, რუმინეთი-ისრაელი 2:1.

ასპარეზობის პირველ დღეს კოკისპირული წვიმების გამო B და D ჯგუფის წარმომადგენლებს არ უთამაშიათ. ისინი კორტებზე გუშინ გამოვიდნენ.

**B ჯგუფი.** დიდი ბრიტანეთი-ბოსნია 3:0, უნგრეთი-პორტუგალია 3:0.

**D ჯგუფი.** სლოვენია-ლუქსემბურგი 2:1, ბულგარეთი-ჰოლანდია 3:0.

**ბეჟან დოლიძე**

ასიანთა კლუბი

## ეშლი კოული

**ინგლისის ნაკრებმა, როგორც უკვე გაუწყეთ, 23-წლიანი შესვენების შემდეგ ბრაზილია დაამარცხა — 2:1. ლონდონის „უემბლიზე" გამართულ მატჩში მასპინძელთა მცველმა ეშლი კოულმა მეასედ მოირგო ნაკრების მაისური! ამხანაგური თამაში ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის 150 წლის იუბილეს მიეძღვნა.**

„როგორ გითხრათ... ძალიან აღელვებული ვარ და მიჭირს რაიმეს თქმა... მადლობა ყველას, ვინც ნაკრებში ამდენი ხნის მანძილზე ჩემს გვერდით იდგა და მოედანზე გადიოდა. უზომოდ ბედნიერი ვარ ასეთ შედეგს რომ მოვაღწიე!" — განაცხადა ეშლი კოულმა. არაერთი სპეციალისტი თვლის, რომ კოული ნაკრების ყველა დროის უძლიერესი მარცხენა მცველია.




„სამი ლომის" (ნაკრების მეტსახელი) 141-წლიან ისტორიაში ეშლი კოული მხოლოდ მე-7 ფეხბურთელია, რომელმაც ქვეყნის მთავარი გუნდის მაისურით 100 მატჩი ჩაატარა. კოულზე ადრე ასიანთა კლუბში შევიდნენ: პიტერ შილტონი (125), დევიდ ბექჰემი (115), ბობი მური (108), სერ ბობი ჩარლტონი (106), ბილი რაიტი (105) და ნაკრების ახლანდელი კაპიტანი სტივენ ჯერარდი (101).

ეშლი კოულის დებიუტი ნაკრებში 2001 წლის 28 მარტს ალბანელებთან შედგა — ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელს ინგლისის მთავარ გუნდში სვენ-გორან ერიქსონმა უხმო. მას შემდეგ კოულმა მსოფლიოს 2002, 2006 და 2010 წლის ჩემპიონატებზე და ევროპის ორ პირველობაზე ითამაშა: 2004 და 2012 წლებში. ის პირველი შავკანიანი მოთამაშეა, ვინც ნაკრებში 100-ჯერ იასპარეზა.

ლონდონის „ჩელსის" მცველი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასის ისტორიაშია შესული: „არსენალის" და „ჩელსის" მაისურით მან 7-ჯერ მოიგო მთავარი ჯილდო! „არსენალთან" ერთად მან 2002, 2003 და 2005 წლებში აღმართა თასი, „ჩელსის" მაისურით კი — 2007, 2009, 2010 და 2012 წლებში.

## კარლეს პუიოლი

**ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა კარლეს პუიოლმაც საიუბილეო, მეასე შეხვედრა ჩაატარა ქვეყნის პირველ გუნდში. ესპანელებმა ყატარის დედაქალაქ დოჰაში ურუგვაი ამხანაგურ შეხვედრაში 3:1 დაამარცხეს.**

„100 მატჩი ნაკრებში შესანიშნავია, განსაკუთრებით ისეთ გუნდში, როგორიც ჩვენია! ბედნიერი ვარ ესპანეთის ყველაზე დიდ გამარჯვებებში ჩემი მოკრძალებული წვლილი რომ შევიტანე. დარწმუნებული ვარ, სანამ ნაკრებიდან წავალ, ტიტულს კიდევ მოვიგებ," — განაცხადა პუიოლმა სამხრეთამერიკელებთან გამარჯვების შემდეგ. შესვენებისას ის ყატარის ფეხბურთის მესვეურებმა სამახსოვრო პრიზით დააჯილდოვეს.

კარლეს პუიოლი მეშვიდე ესპანელია, რომელმაც ნაკრებში 100-მატჩიან მაჩვენებელს მიაღწია. ამ მხრივ პირველ ადგილზე მადრიდის „რეალის" მეკარე და გუნდისთავი იკერ კასილიასია 143 თამაშით. ესპანეთის პირველი გუნდის მაისურით 100-ზე მეტ შეხვედრაში უთამაშიათ ანდონი სუბისარეტას (126), ხავის (119), ხაბი ალონსოს (106), რაულს (102) და ფერნანდო ტორესს (101).

„ბარსელონას" კაპიტნის დებიუტი ნაკრებში ევრო 2000-ის შემდეგ, 15 ნოემბერს შედგა ჰოლანდიელთა წინააღმდეგ. მას შემდეგ ის გუნდის უცვლელი წევრია. წითელი მაისურით პუიოლმა 2008 წელს ევროპირველობა, 2010 წელს კი ფიფას ოქროს თასი მოიგო. ევრო-2012 გამოცდილმა მცველმა მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო გამოტოვა. ეროვნულის შემადგენლობაში პუიოლმა 3 გოლი გაიტანა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი 2010 წლის 7 ივლისს, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გერმანიის ნაკრების კარში.






PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# სხვადასხვა

№25. შაბათი, 9 თებერვალი, 2013 წელი.

## ვისი ხელი ურევია ექსპონატების „გაქრობაში?“

**დმანისში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ჰომინიდების — „ზეზვასა“ და „მზიას“ აღმოჩენის შემდეგ დაწინაურებულ დავით ლორთქიფანიძეს მომჩივანები გამოუჩნდნენ. კერძოდ, დავით ლორთქიფანიძის დაქვემდებარებაში მყოფი ხუთი მუზეუმის ექსპონატთა მდგომარეობის შემოწმებას საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ დარბაზის წევრები ითხოვენ.**

მათი თქმით, სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმის, სახელმწიფო მუზეუმის, ქარვასლის, მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალისა და ეთნოგრაფული მუზეუმების დაქვემდებარებაში მყოფი ექსპონატების გასხვისების ფაქტები არსებობს. ამდენად, მუზეუმებში არსებულ ექსპონატთა მდგომარეობისა და მათი იდენტობის მიზნით საზოგადოებრივი მოძრაობის წევრები საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით მიმართავენ პრემიერ-მინისტრს, პარლამენტსა და კულტურის სამინისტროს, რათა ოპერატიულად იქნას გამოძიებული როგორც მუზეუმებში არსებულ ექსპონატთა მდგომარეობის, მათი იდენტურობის, სიძველისა და თავდაპირველი რაოდენობის საკითხი, ისე მუსიკალურ სასწავლებლებში არსებული ვითარება.

საპარლამენტო საგამოძიებო კომისია კი უნდა დაკომპლექტდეს პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნეების, მუსიკოსების, ისტორიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეებისგან. საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ წევრებს მიაჩნიათ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული კულტურული მემკვიდრეობა შესაძლოა, საქართველოსთვის საბოლოოდ დაიკარგოს და უცხო ქვეყნების მუზეუმებსა და კოლექციებში აღმოჩნდეს.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ თავმჯდომარის თანაშემწე **ბაია ამაშუკელი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ მას, როგორც ხელოვნების ექსპერტ-ისტორიკოსს და ქართველს, აინტერესებს, სად მიდის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. ამდენად, პირველ ეტაპზე, ჯერ ხუთი მუზეუმის საქმის გამოძიებას მოითხოვს, თუმცა მოგვიანებით, შესაძლოა, არეალი გაფართოვდეს.

ბაია ამაშუკელის თქმით, ზემოთ ჩამოთვლილი მუზეუმების შესახებ უკვე რამდენიმე წელია არსებობს ფაქტებიც, კითხვებიც და ჭორ-მართალიც. ამიტომ სიმართლე უნდა დადგინდეს.

„ამ მუზეუმებში არსებული თუ მუზეუმებიდან გატანილი ექსპონატების შესახებ ძალიან ცუდი ფაქტები ვრცელდება. საგანგაშო ინფორმაცია ხელოვნებათმცოდნეებისგან, მუზეუმის თანამშრომლებისგან მაქვს, რომლებსაც ჯერ კიდევ ერიდებათ და თავს იკავებენ ყველაფრის თქმისგან. ადრე ყველა მუზეუმს ჰქონდა კატალოგის კერძო ნუსხა და ერთგვარად, თვითმმართველობის პრინციპი ხორციელდებოდა. თუმცა მოგვიანებით ყველაფერი დაუქვემდებარეს ერთ კაცს, დავით ლორთქიფანიძეს, რომელზედაც არსებობს კულუარული ინფორმაციები, რომ თავის დროზე მან ჩამოიყვანა ოქროს დნობის ტექნოლოგიის ბერძენი რესტავრატორები. ეს ტექნოლოგია მოიცავს ისეთ ტექნიკას, რომ სერიოზული ანალიზის გარეშე არ დგინდება ექსპონატის იდენტურობა. ჩვენ ვიცით, სახელმწიფო მუზეუმიდან თავის დროზე წაიღეს ექსპონატები. მოგეხსენებათ, სიწმინდეების შესახებ რა ამბავი იყო მაშინ ატეხილი, დაბრუნდა თუ არა ეს ექსპონატები, ესეც უცნობია. ნაციონალების ზეწოლით ასეთ საკითხებს ერთი ადამიანი არ უნდა წყვეტდეს,“ — აცხადებს ბაია ამაშუკელი.

ხელოვნების ექსპერტი აცხადებს, რომ პროფესორმა ალეკო ცინცაძემ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში არსებულ კუს ყელსაბამში, რომელიც ძვ. წ. აღ-ის მე-5 საუკუნით თარიღდება, კუს ექსპონატის ელემენტების ნაკლებობას მიაკვლია.

ბაია ამაშუკელის განმარტებით, აღნიშნული ექსპონატი არის დავით ლორთქიფანიძის მამის ოთარ ლორთქიფანიძის გათხრების შედეგად მოპოვებული. მას შემდეგ, რაც ამ ყელსაბამში ექსპონატთა ელემენტების ნაკლებობა დაფიქსირდა, მუზეუმის თანამშრომლების პირველი პასუხი იყო, რომ ამდენივე ელემენტი იყო თავიდანვეო.

„ბოლოს მიუტანა ამ ადამიანმა წიგნი, სადაც ხატია, რომ 94 ცალი კუს ელემენტი იყო და მათ საიტზეც დაიდო, თურმე ალეკო ცინცაძემ აღმოაჩინა დანაკლისი. რას მიკეთებენ ამ დროს მუზეუმის დირექტორი და თანამშრომლები? დაიჭყლიტაო, რატომ უთხრეს თავიდან?“ — კითხულობს ბაია ამაშუკელი.

მისივე თქმით, იგივე მოხდა ზარზმის ღვთისმშობლისა და აწყურის ღვთისმშობლის ხატების გატანასთან დაკავშირებითაც, როცა ერთი ამბავი იყო ამტყდარი, რადგან რაბათის ციხეში უნდოდათ მათი წაბრძანება. გარდა ამისა, ბაია ამაშუკელმა თვითონ სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებისგან შეიტყო, რომ იქ კატალოგის გადანომრვა, ჩარჩოების გამოცვლა და ასლების გაკეთება მიმდინარეობდა. საუბარია ასეულობით ექსპონატზე.

ამას ემატება ისიც, რომ ჯანაშიას მუზეუმში არსებობდა საცავი, სადაც ინახებოდა შაჰის ალაფი. ყველა ხელოვნებათმცოდნემ იცოდა, რომ ეს ალაფი მუზეუმში არსებობდა, მაგრამ, რადგან ალაფი იყო, არ გამოდიოდა საექსპოზიციოდ. თუმცა ახლა ირკვევა, რომ ხალიჩები, ნუმიზმატური მონეტები და ძველი კოლხეთისდროინდელი ნივთები აღარ არის, წაღებულია. ამდენად, ამით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს. გარდა ამისა, ამ მუზეუმებში ფინანსური დარღვევებიც გამოვლინდება.

„თვით ის ფაქტი, რომ თვითნებურად მოჰკიდეს ხელი და სააკაშვილის რეზიდენციაში წაიღეს სამუზეუმო ექსპონატი, ბევრ რამეზე მეტყველებს. ეს ერთი ფაქტი რომ მოხდა, ამას სხვა ფაქტებიც მოჰყვებოდა. ამიტომ დროულად უნდა გაირკვეს ყველაფერი, სანამ ფაქტის წინაშე დავდგებით. როგორც ვიცი, კულტურის წინა სამინისტრომ ისეთი კანონი მიიღო, ჩვენი ცალკეული ექსპონატი რომელიმე მუზეუმში რომც აღმოვაჩინოთ, ოფიციალურად მას ვერ გამოვითხოვთ. რამდენიმე წლის წინათ განგაში რომ ავტეხე, მომაკითხეს საპატრიარქოსთან არსებული სიწმინდეების მოძიების სააგენტოდან და მითხრეს, ჩვენ ვიყავით სამინისტროში, მოვითხოვეთ ამ სიწმინდეების ხელშეკრულება, თუ როდის წავიდა ისინი და როდის დაბრუნდება, მაგრამ ხელშეკრულებაში ზოგადად წერია, რომ დაბრუნდება მაისში. თუმცა, რომელი წლის მაისში, ეს არ წერიაო. არც ის წერია, თუ რა სიწმინდეებია გატანილი“.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ბაია ამაშუკელი მუზეუმების შემოწმებას ითხოვს და მიიჩნევს, რომ, თუ ჩვენი ექსპონატების გატანა მაინცდამაინც აუცილებელი იყო, მაშინ ქართველი ხელოსნების მიერ მულაჟები უნდა დამზადებულიყო, ხელოსანიც გასამრჯელოს მიიღებდა, ექსპონატიც არ გავიდოდა ქვეყნიდან და ტურისტიც აქ ჩამოვიდოდა. ამასთან, მას აეჭვებს ისიც, თუ რატომ კეთდებოდა ეს ყველაფერი საპატრიარქოსა და საზოგადოების გვერდის ავლით.

გარდა ამისა, ბაია ამაშუკელი ე.წ. „შავ არქეოლოგიაზეც“ საუბრობს. მისი თქმით, უცნობია, რომელი უცხოური კომპანიები აწარმოებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურ გათხრებს და გათხრების შედეგად როგორია მოპოვებული ჩვ. წ.აღრიცხვამდელი არტეფაქტების ბედი.

„არტეფაქტების გაუჩინარებაც საეჭვოა, რადგან მთელი ჩვენი ტერიტორია სიძველეებითაა მოფენილი. სადაც არ უნდა გათხარო, რაღაცას აღმოაჩენ. ლამის ფარაონების წინაპრები გამოვდივართ კავკასიელები. ამიტომ საინტერესოა, სად მიდის ეს ნიმუშები?!“ — ინტერესდება ბაია ამაშუკელი.

მისი თქმით, ყველა მუზეუმში ასეთივე მდგომარეობაა, გაძარცვეს და გაანიავეს ყველაფერი. თავის დროზე ტროცკიმ აიღო ეს თავის თავზე და 11 ურემი თვალმარგალიტი გაიტაცა. ასე მოხდა საქართველოშიც. კერძოდ, სვანეთში რომ ატყდა ერთი ამბავი, ბაია ამაშუკეკელს ინტერნეტში უნახავს, უცხოელი წერდა, რომ იყიდებოდა სვანური ხატები, ექსპონატები. გაჭირვების გამო მოსახლეობა ყიდდა ამ ყველაფერს.

„პირადად გადავცემ ამ ინფორმაციებს კულტურის მინისტრს. კულტურის ჯგუფის წევრები რომ ვიყავით მასთან შეხვედრაზე, მე მას ვუთხარი, რომ ამას ვგეგმავდით. კულტურის მინისტრი საქმის კურსშია და ამას თვითონ უნდა მიხედონ“, — აცხადებს ბაია ამაშუკელი.

For.ge დაინტერესდა, რა რეაგირება მოჰყვა კულტურის სამინისტროში ბაია ამაშუკელის განცხადებას. ასევე, გვაინტერესებდა, ამ უწყებაში ფლობდნენ თუ არა ინფორმაციას სხვა მუზეუმებში არსებული ვითარების შესახებ, რადგან ცალკეული მუზეუმების თანამშრომლებისგან მოპოვებული ინფორმაციით, ნიკა რურუას პერიოდში ახლობლობით დანიშნული მუზეუმის დირექტორების ხელით არაერთი ექსპონატი გამქრალა მუზეუმებიდან. ეს ეხება როგორც უძველესი ექსპონატებით ცნობილ მუზეუმებს, ისე თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებს. თუმცა ვერანაირ კითხვაზე პასუხი კულტურის სამინისტროში ვერ მივიღეთ. კულტურის მინისტრის ერთმა მოადგილემ მეორე მოადგილესთან, მარინე მიზანდართან გადაგვამისამართა, მარინე მიზანდარის კოორდინატები პრესსამსახურმა არ მოგვცა, მოგვიანებით რამდენიმედღიანი ამაო რეკვის შემდეგ გაირკვა, რომ მარინე მიზანდარი უცხოეთში იმყოფებოდა და მის ნაცვლად მთელ კულტურის სამინისტროში პასუხს ვერავინ გაგვცემდა. ამის შემდეგ ამავე სამინისტროს მუზეუმების დეპარტამენტს დავუკავშირდით, მაგრამ იქ ბაია ამაშუკელის განცხადების შესახებ არაფერი სმენოდათ.

### პროკურატურას ხუთი მუზეუმით დაინტერესებას სთხოვენ



**მარიამ ლოლაშვილი**

---



**ჯემალი, ზურა, კახა, ქეთი ქორიძეები, ნოდარი, ნანა, ლია, გიორგი, ანა, ინგა მჭედლიშვილები, ლეილა ჩაფიძე, ნადიკო, მანანა, ქეთინო, ბესო კანაშვილები, ზურა ბუცხრიკიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა მათი უახლოესი ნათესავი, უსაყვარლესი და უკეთილშობილესი ახალგაზრდა**

**ნინო თენგიზის ასული კანაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ ესმა, თენგო, მიშიკო კანაშვილებს საყვარელი შვილის და დის გარდაცვალების გამო.**

---

**სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ელმავალმშენებლობის სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ღვაწლმოსილი წარმომადგენელი, ინჟინერთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი**

**გივი ჭირაქაძე**

**ელმავალმშენებლები დიდი გულისტკივილითა და მადლობის გრძნობით ეთხოვებიან ბატონ გივის და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.**

---

## შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

### სააქციო საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრების მოწვევისა და საერთო კრების სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ

**სს „იბერია უძრავი ქონებას“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი იწვევენ აქციონერებს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2013 წლის 28 თებერვალს 11 საათზე ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ.№49ა-ში მდებარე სააქციო საზოგადოების ოფისში.**

**სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც იქნება 2012 წლის 21 თებერვალს, რომლის სამუშაო დროის დასრულების მდგომარეობით განისაზღვრება კრებაში მონაწილეობის უფლებამოსილ აქციონერთა სია.**

**დღის წესრიგი:**

1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის არჩევა.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „იბერია უძრავი ქონების“ დირექტორთან. დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორისგან როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილი იქნა დირექტორთან 2012 წლის 25 თებერვლამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

**საზოგადოების დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას იძლევა და განმარტავს რომ**

სამწუხაროდ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი, ბ-ნი გიორგი ბაგრატიონი გარდაიცვალა, შესაბამისად საზოგადოების გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს სრულად დაკომპლექტება და ახალი წევრის არჩევა.

**პატივისცემით,**
**რამაზ მოსაშვილი,**
**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და საზოგადოების დირექტორი.**

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის 2013 წლის 22 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული განცხადების შესაბამისად შპს „მარაბდა-კარწახის“ მიერ „ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ახალქალაქ-კარწახის“ უბნის სადგურ კარწახიდან 693-მეტრიანი კორექტირებული ტრასისა და თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე გამავალი 1830-მეტრიანი გვირაბის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის განხილვა,

ტექნიკური ცვლილებების გამო გადაიდო. ახალი განხილვის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება მოგვიანებით.

---

## ინფორმაცია

### მკვლელობა თუ სუიციდი?

**რუსთავში, პოლიციის თანამშრომელი, 27 წლის ზ. ნ. ხუთშაბათ საღამოს დედამ სახლში გარდაცვლილი ნახა.**

**მეზობლების თქმით, ახალგაზრდა საწოლში იწვა და დედას ეგონა, რომ შვილს ეძინა. გარდაცვლილს სახეზე ბალიში ჰქონდა დაფარებული და ხელში იარაღი ეკავა. მას ჭრილობა თავის არეში, ცეცხლსასროლი იარაღით ჰქონდა მიყენებული.**

**როგორც გარდაცვლილის მეზობლები ყვებიან, ახალგაზრდა რუსთავის პოლიციაში მუშაობდა, მას პოლიციის აკადემია ჰქონდა დამთავრებული, იყო კომანდოს ბატალიონის მებრძოლი.**

**27 წლის ზ. ნ.-ს მეზობლები დადებითად ახასიათებენ და მომხდარის მიზეზებს ვერ ხსნიან. ისინი ამბობენ, რომ ახალგაზრდა დედასთან ერთად ცხოვრობდა და მას მატერიალური ან სხვა რაიმე პრობლემები არ ჰქონია.**

**მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.**

საქართველოს რესპუბლიკა



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№25. შაბათი, 9 თებერვალი, 2013 წელი.

## დაიჯესტი

## ლიბიელი დიქტატორის უკრაინელი რძალი



**ლიბიის ჯამაჰირიის ყოფილი ლიდერის, პოლკოვნიკ მუამარ კადაფის ტრაგიკული ამბავი ყველამ იცის, მისი ოჯახის წევრების ბედის შესახებ კი შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. ბევრისთვის, ალბათ, ნამდვილი სენსაცია იქნება ის ამბავი, რომ მისი რძალი, უფროსი ვაჟიშვილის სეიფ ალ-ისლამ კადაფის ცოლი, უკრაინელი ნადეჟდა ბოდნარი ამჟამად უკრაინაში, დაბა შჩებერტოვკაში, მშობლების მორიდებულ სახლში ცხოვრობს და თანასოფლელებისგან არაფრით გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობს.**

ადრინდელი მდიდრული ცხოვრება მხოლოდ ფოტოებსა და მეხსიერებას შემორჩა, ზაფხულში კი ახალგაზრდა ქალი, ისევე, როგორც წინა წელს, საზღვაო გასეირნებების სარეკლამო აგენტად მუშაობდა.

— სეიფ ალ-კადაფი 2005 წელს, ერთ-ერთ მოსკოვურ რესტორანში გავიცანი, სადაც ადმინისტრატორად ვმუშაობდი, — ამბობს ნადია. — შავგვრემანი, თმაგადაპარსული ახალგაზრდა კაცი პირველად რომ დავინახე, ჩერკიზოვოს ბაზრობის ვაჭარი მეგონა. იგი თარჯიმანთან ერთად მოვიდა ჩემთან, ვახშმად დამპატიჟა და მხოლოდ მაშინღა შევიტყვე მისი ვინაობა. მერე ესემესებს მიგზავნიდა, მირეკავდა, ლექსებს მიწერდა...

მოკლედ, ნადიამ ცდუნებას ვერ გაუძლო და ტრიპოლიში, კადაფების ერთ-ერთ სახლში საცხოვრებლად გადავიდა, სადაც არაბული ენაც ისწავლა.

— ნამდვილი ლიბიური ქორწილი გვქონდა, მანამდე ჰამამში (თურქულ აბანოში) წამიყვანეს, შაქრის და ლიმნის წვენით დამზადებული კარამელით მთელ ტანზე ძალიან მტკივნეული ეპილაცია გამიკეთეს, ინით შემღებეს, მერე კი ყველანი „მისისს" მეძახდნენ, — იხსენებს ნადია.

მერე იყო ოჯახური უთანხმოებები, უბედური შემთხვევა — მეოთხე სართულიდან ჩამოვარდნა, რის შედეგი კომა და მუცლის მოშლა იყო...

— ამის შემდეგ სეიფის ჩემდამი მოპყრობა სრულად შეიცვალა, სახლში ხშირად სხვა ქალები მოჰყავდა, — იხსენებს ქალი. — ლამაზმანები მამამისთვისაც მოჰყავდათ, თუმცა ამას მალავდნენ.

... ნივთების ჩალაგებაში ნადიას მუამარის ცოლი, სოფია მოეხმარა, თუმცა კი არც მას, არც, მით უმეტეს, მამამთილს, ქალი, ფაქტობრივად, არ იცნობდა.



— იმის მიუხედავად, რომ ყველაფერი ასე დასრულდა, სეიფზე მაინც ვფიქრობ და ძალიანაც მეცოდება — ახლა მას კბილები ჩალეწილი და ფეხებზე თითები დაჭრილი აქვს, ვიცი, რომ ციხეში სასტიკად ეპყრობიან... უკრაინაში, ან რუსეთში რომ იჯდეს ციხეში, აუცილებლად ვინახულებდი, მაგრამ ახლა...

## მევიოლინე შავი კატის ქუჩიდან

**„დღეს, 1782 წლის 28 ოქტომბერს, მე ანტონიო და ტერეზა პაგანინების ვაჟიშვილი ნიკოლო მოვნათლე" — ეს ჩანაწერი გენუის წმინდა კროჩე-ი-სალვატორეს საყდრის საეკლესიო წიგნში პასო დი გატა მორას ქუჩის № 38-ში ბიჭუნას დაბადებიდან მეორე დღეს გაჩნდა. ქუჩის დასახელებამ კი, რაც „შავ კატას" ნიშნავს, წლების შემდეგ მთელი ევროპის ჭორიკნებს უამრავი სალაპარაკო გაუჩინა.**

მას, ისევე, როგორც ვირტუოზი მევიოლინეს გვარს, ათასნაირად აბრუნებდნენ. საქმე ისაა, რომ შავი კატა ოდითგანვე ეშმას ატრიბუტად იყო მიჩნეული, მისი გვარი კი „ურჯულოდ", „კერპთაყვანისმცემლად" ითარგმნება. ნიკოლო პაგანინისადმი ჭორიკნების გაუგონარ ინტერესს მისი ჭეშმარიტად არაორდინალური გარეგნობაც უწყობდა ხელს — იგი საოცრად შეუხედავი, ძალიან გამხდარი, უაღრესად ნერვული და მოუსვენარი, თუმცა კი, ამავე დროს, საოცრად მიმზიდველი კაცი იყო. იმხანად მთელი ევროპა გოეთეს „ფაუსტის" შთაბეჭდილების ქვეშ იყო, ამიტომაც ობივატელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ მევიოლინემ თავისი უზადო ოსტატობის ფასად, თავი ეშმას მიყიდა. იმასაც ამბობდნენ, რომ თავდაპირველად ის ყაჩაღების ბანდას მეთაურობდა, კეთილშობილ ქალბატონებს იტაცებდა, მათ ქმრებს კი სასტიკად აწამებდა, იყო ჰომოსექსუალისტი, საყვარლის მკვლელობისთვის კატორღაში მოხვდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაღაც მანქანებით ციხეში ვიოლინოს შეტანა შეძლო, რომელსაც სიმებად საბრალო ქალის ნაწლავი თუ მყესები ჰქონდა, ხემზე კი მისი ქერა კულულები გადაეჭიმა... ამის ახსნა, ცხადია, ერთი იყო: პაგანინიმ სული სატანას მიყიდა, უბრალო ოსტატობა, ჯადოსნურად ჟღერადი ვიოლინო, უდიდესი პოპულარობა და საარაკო ჰონორარები კი სანაცვლოდ მიიღო. მოკლედ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, პირველი როკ-მუსიკოსი სწორედ რომ ნიკოლო პაგანინი ყოფილა.



მკაცრ, „კანონიკურ" სამუსიკო კრიტიკოსებს მასში არაფერი არ მოსწონდათ — არც მსმენელთა უსაზღვრო აღფრთოვანება, არც შესრულების მანერა — გამუდმებით ქანაობა, ტაქტისთვის წინგაწეული ფეხის აყოლება, მოკლედ, ყველაფერი აღიზიანებდათ. მაგრამ ყველაზე მეტ გულისწყრომას მისი პოპულარობა იწვევდა, რასაც ისიც ემატებოდა, რომ მან ეს დამატებითი შემოსავლის წყაროდ აქცია: ვენელი კონდიტერები ცუკატებისგან მის ბიუსტებს ამზადებდნენ, ვიოლინოს ფორმის ფუნთუშებს აცხობდნენ, მაგიდებზე მისი სილუეტის მსგავსად დაკეცილ ხელსახოცებს აწყობდნენ, ქალბატონები თმას „ა-ლა პაგანინით" ივარცხნიდნენ, მის გამოსახულებას ბრელოკებს, ცხვირსახოცებს, ხელჯოხებს ახატავდნენ.

გენიალურ საშემსრულებლო ოსტატობასთან ერთად, ნიკოლო პაგანინის საკმაოდ ანჩხლი ხასიათიც ჰქონდა, რაც მას მუდამ საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში ამყოფებდა.

## საჭმელს ვჭამ, ტელეფონი მომაშორე!



**კიევის ადამიანის ეკოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ კომპიუტერისა და მობილური ტელეფონის მახლობლად ჭამა არ ღირს: ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედებით, რომლებსაც ეს მოწყობილობები გამოყოფენ, საკვები თვისებებს იცვლის.**

უფრო სწორად კი თვისებებს არა თავად საკვები, არამედ მისი უცვლელი მდგენელი — წყალი იცვლის, რომლის მოლეკულების გადაწყობა სუსტი ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედების შედეგადაც კი ხდება. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუკი საჭმელს პერსონალურ კომპიუტერებს, ნოუთბუკებსა და მობილურ ტელეფონებს მოარიდებთ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### ჯარში სავალდებულო გაწვევა, შესაძლოა, გაუქმდეს

ორშაბათს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ჯარში სავალდებულო გაწვევის სისტემის გაუქმებისა და 2016 წლისთვის მთლიანად პროფესიულ არმიაზე გადასვლის ხედვის პრეზენტაციას გამართავს. სამხედრო ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ საქართველო არ არის მზად მარტო პროფესიული არმია ჰყავდეს. სავალდებულო გაწვევა აუცილებელია, თუნდაც იმისთის, რომ რეზერვის დაგროვება მოხდეს.

მინისტრი აცხადებს, რომ სავალდებულო გაწვევა გაუქმდება და მხოლოდ პროფესიული არმია გვეყოლება, რომელიც შეძლებს იმ ამოცანის შესრულებს, რასაც ქვეყნის დაცვა ჰქვია.

**„რეზონანსი"**

### მეეზოვეები გაფიცვებისთვის ემზადებიან

ქვეყანაში საპროტესტო აქციების ტალღა არ ცხრება. ვინც დროულად გაფიცვა ვერ მოასწრო, „ბუნტის მამებთან" გადის კონსულტაციებს და უახლოეს ხანში, შესაძლოა, რკინიგზელების, პატიმრების, მაღაროელების, სტუდენტების, მუნიციპალური ტრანსპორტის და სხვათა შემდეგ, გაფიცული მეეზოვეებიც ვიხილოთ.

„ვერსიისთვის" ცნობილი გახდა, რომ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს შორის, მცირე ხელფასისა და სამუშაო პირობების გამო, უკმაყოფილებამ იმატა. „ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ ხმა არ ამოვიღეთ, არ გავიფიცეთ, ქალაქი ნაგავში დაიხრჩობა" — აცხადებენ ისინი.

**„ვერსია"**

### ანდრო ბარნოვმა 9 დღეში საკუთარ თავს 2000-ლარიანი პრემია გამოუწერა

ანდრო ბარნოვმა თავის 8 თანამშრომელს სოლიდური პრემიები გამოუწერა, ყველაზე მეტი — 2000 ლარი კი მას შეხვდა. ბარნოვი საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შიდა ქართლის გუბერნატორად 2013 წლის 12 იანვარს დაინიშნა. პრემიების შესახებ მისი განკარგულება კი 21 იანვარს გამოიცა.

**„ახალი თაობა"**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



ყოფილმა პარაშუტისტმა ბერნერ ფროინდმა შესანიშნავად იცის: თუ მგლებთან ცხოვრობ, მგელივით უნდა იყმუვლო. 40 წლის წინათ მან გერმანიაში დააფუძნა ნაკრძალი მგლებისთვის. დღეს იქ 29 მტაცებელი ცხოვრობს, და ბერნერი მათთვის ხროვის ბელადია.

## ანეკდოტები

**პოლიციელი** მიხო თავის მიერ დაკავებულის შესახებ განმარტებას წერს უფროსის სახელზე:

— დაკავებისას იმყოფებოდა ფსიქოტროპული არსებების ზემოქმედების ქვეშ.

— არსებების კი არა, „ნივთიერებების" ზემოქმედების ქვეშ დაწერე?

— არა, უფროსო, მე იმისი ცოლისა და სიდედრის შესახებ ვწერ.

* * *

**რაც** ამერიკელისთვის სასაცილოა, ის ქართველისთვის ხელფასია.

* * *

**ტიპი** ძმაკაცს აგარაკზე ესტუმრა. დასხდნენ სასადილოდ.



— სუფთა თეფში დაგიდო თუ გარეცხილი?

— რა თქმა უნდა, სუფთა.

შუა სადილობისას ტიპი მასპინძელს ეკითხება:

— მაინც რა განსხვავებაა ამ თეფშებს შორის?

— გარეცხილი მე თვითონ გავრეცხე, სუფთა კი კატის ალოკილია.

* * *

**მხატვარი** — ეს არის ადამიანი, რომლის კარიერა მუდამ ხვალ იწყება.

* * *

— **წარმოგიდგენია**, ამ ბოლო ხანს მუდმივი ეკონომიის რეჟიმში ვცხოვრობ!

— მაინც რაზე აკეთებ ეკონომიას?

— პრაქტიკულად ყველაფერზე: სახლებზე, მანქანებზე, სურათებზე...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com